საქართველო შამილ ბასაევის საშიშ ტერორისტად გამოცხადებას მხარს უჭერს A2

მომავალ ორშაბათამდე A3

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ორშაბათი, 1 სექტემბერი, 2003 წელი. №234 (446) ფასი 30 თეთრი

# საერთაშორისო ორგანიზაციებმა არჩევანი გააკეთეს, ჯერი პრეზიდენტზეა...



დავით უსუფაშვილი



ვახტანგ ხმალაძე



ნანა დევდარიანი

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

ლელა მჭედლიძე

ეუთო-სა და ევროსაბჭოს წარმომადგენლების ორკაციანი ჟიურის გადაწყვეტილებით, ცესკო-ს თავმჯდომარეობის პრეტენდენტებიდან ფინიშამდე სულ სამი კაცი მივიდა: სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი, პარლამენტარი ვახტანგ ხმალაძე და იურისტი დავით უსუფაშვილი.

ლივიუ ბოტამ და პლამენ ნიკოლოვმა პოლიტიკური სპექტრის სხვადასხვა წარმომადგენლებთან კონსულტაციების შემდეგ, პრეზიდენტს საბოლოო არჩევანის გასაკეთებლად სწორედ ეს ხალხი წარუდგინეს. როგორც განაცხადეს, კანდიდატებს შორის შერჩევის ძირითად პრინციპებად პატიოსნება, პროფესიონალიზმი, ყველა პოლიტიკური პარტიის და მასმედიის წარმომადგენლებთან დიალოგის უნარი იყო. თუ რომელს მიანიჭებს ქვეყნის პრეზიდენტი საბოლოოდ უპირატესობას, შევარდნაძეს გუშინ არც კი მიუნიშნებია. მან ყველა კანდიდატი ღირსეულად მიიჩნია. თავისი გადაწყვეტილება, სავარაუდოდ - რადიოინტერვიუში, საზოგადოებას პრეზიდენტმა დღეს უნდა ამცნოს. მიუხედავად ყველაფრისა, თითოეულ კანდიდატს გარკვეული პოლიტიკური წარსული თუ ინტერესები მაინც აქვს.

"ახალი მემარჯვენეების" მხრიდან ვახტანგ ხმალაძისადმი სიმპათიები თავიდანვე გამოიხატა. დავით კოლუაშვილმა ჩვენთან საუბარში "მრეწველი" დეპუტატის მიმართ ქათინაურები არც ახლა დაიშურა: **"სამივე კანდიდატი ამ პოსტის დასაკავებლად საჭირო მოთხოვნებს აკმაყოფილებს. უსუფაშვილი ნიჭიერი იურისტია; დევდარიანმა საკუთარი თავი ომბუდსმენის პოსტზე, როგორც კარგმა ხელმძღვანელმა და მუშაკმა, მართლაც წარმოაჩინა; მაგრამ ჩვენ მაინც უპირატესობას ვახტანგ ხმალაძეს ვანიჭებთ, არა მხოლოდ კოლეგიალობის გამო. ხმალაძე უშუალოდ მუშაობდა საარჩევნო კოდექსზე და ამ საკითხთან დაკავშირებულ პერიპეტიებშიც კარგად ერკვევა, სხვა ასპექტებზე რომ არაფერი ვთქვათ. ხმალაძე სწორედ ჩვენი მხარდაჭერით სარგებლობდა".**

"ნაციონალები" ნანა დევდარიანს პოლიტიკური კუთვნილების გამო იწუნებენ. მართალია, ხმალაძის კანდიდატურის საწინააღმდეგო მათ არაფერი აქვთ, მაგრამ თავად იურისტის, კობა დავითაშვილის თქმით, **"მათი სიმპათიები უფრო უსუფაშვილისკენ იხრება".** დაახლოებით, ასეთივე პოზიცია აქვთ "დემოკრატებსაც". "აღორძინების" წევრი ვალერი გელბახიანი კი აცხადებს, რომ **" გუშინ დასახელებული კანდიდატებიდან, პარტიული ან კერძო ინტერესების გამო, რეპუტაცია არც ერთს შელახვია.**

გაგრძელება A2 გვერდზე

# ხელისუფლება - ბიზნესი და კრიმინალი ერთ სახეში

### ქართული ბიზნეს-ელიტა ოლიგარქის ტიტულისათვის იბრძვის

გოგა ოქროპირიძე
*სპეციალურად "24 საათისთვის"*

უკანასკნელ ხანს ქართული მასმედიის საშუალებებში გაიჟღერა ახალმა ცნებამ - ქართველი ოლიგარქი. ასეთი ფორმით უკვე ბიზნეს-ელიტის რამდენიმე წარმომადგენელს მოიხსენიებენ, მაგრამ თანამედროვე გაგებით ამ ტიტულს, ჯერჯერობით, საქართველოში მცხოვრები არც ერთი ბიზნესმენი არ იმსახურებს.

ტერმინი "ოლიგარქი", როგორც თანამედროვე მსხვილი მესაკუთრის სინონიმი, ბერძნული წარმოშობის მიუხედავად, წმინდა რუსული მოვლენაა. იგი პირველად 1996 წლის ნოემბერში ალექსანდრ სოლჟენიცინმა გამოიყენა. მისი ვარაუდით იმ პერიოდის რუსეთის "მდგრად და ჩაკეტილ ოლიგარქიას" 150-200 ადამიანი შეადგენდა. ამის შემდეგ, 1997 წელს, რუსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერმა ბორის ნემცოვმა უკვე ოფიციალურად "ოლიგარქიულ კაპიტალიზმთან ბრძოლის კვირეული" გამოაცხადა.

ოლიგარქის ტიტულს რუსეთში "ანიჭებენ" ელიტური ბიზნესის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც სოლიდური კაპიტალის გარდა, "ზემოქმედების ჯგუფების" და მედია-რესურსების გამოყენებით, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ ქვეყნის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პროცესებზე. როგორც ჩანს, რუსეთში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენთა შორის ამ მოთხოვნებს დღემდე მხოლოდ კახა ბენდუქიძე ("ურალის მანქანათმშენებელი ქარხნები") აკმაყოფილებს. რუსულ საინფორმაციო საშუალებებში მას ოლიგარქთა შორის არცთუ იშვიათად მოიხსენიებენ.

საქართველოში ბოლო წლებში გამოჩნდნენ ისეთი ბიზნესმენები, რომლებმაც აქტიურ პოლიტიკაში მოღვაწეობის გზა აირჩიეს. ზოგიერთმა გუსინსკისაგან და ბერეზოვსკისაგან აიღო მაგალითი და მასმედიის საშუალებებში სოლიდური ფინანსები დააბანდა. ასეთი ნაბიჯების მიუხედავად, ისინი ქართულ

გაგრძელება A3 გვერდზე

# დღეიდან "თელასი" "რაო ეეს როსსიის" საკუთრებაა

### ენერგოკრიზისი კი წელს ადრე იწყება

*გუშინ "თელასში" უკანასკნელი ამერიკული დღე იყო. დღეს დილიდან კომპანიაში ოფიციალურად შევიდა თბილისის ელექტროგამანაწილებელი ქსელის აქციათა 75-პროცენტიანი პაკეტის ახალი მეპატრონე - "რაო ეეს როსსიი". ორიოდე კვირით ადრე, ჩუბაისის ენერგოგიგანტმა კომპანიაში გამოგზავნა სამი სამუშაო ჯგუფი, რომელთაც "თელასის" აქტივების ამერიკელებისაგან რუსებისათვის გადაცემის იურიდიული ასპექტები მოაგვარეს. 4 სექტემბერს, ანუ მას შემდეგ, რაც "ეი-იესისაგან" "რაო ეეს როსსიისთვის" "თელასის" გადაფორმების პროცესი დასრულდება, თბილისში ჩამოვა "თელასის" ახალი მენეჯერი, ლიტველი დანგირას ნიკოლაუსკასი.*

მაია ურუშაძე

"თელასში" საკადრო კუთხით დიდ ცვლილებებს არ ელიან. ჯერჯერობით, კომპანიის თანამშრომლებს მხოლოდ ხელფასების შემცირების ეშინიათ.

რაც შეეხება "თბილსრესის" მე-9 და მე-10 ენერგობლოკებს, ელექტროსადგურებს "ხრამი-1"-სა და "ხრამი-2"-ს, აგრეთვე, რუსეთიდან დენის იმპორტზე ექსკლუზიური უფლების მქონე კომპანია "ტრანსენერჯის", რუსული ენერგოგიგანტისთვის ამ ქონების გადაფორმება ჯერ არ დასრულებულა. მიუხედავად ამისა, "რაო ეეს როსსიის" წარმომადგენლები უკვე კარსმომდგარი ზამთრისათვის ემზადებიან და "რაოს" სამუშაო ჯგუფები ახლადშეძენილ, თუმცა კარგად ნაცნობ ელექტროსადგურებს თავიდან ათვალიერებენ.

ზამთრისათვის მზადების პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას რუსები, ტრადიციულად, გარდაბნის თბოელექტროსადგურს უთმობენ და იმედოვნებენ, რომ "თბილსრესისათვის" გაზის უწყვეტ მიწოდებაზე "გაზპრომთან" პრობლემები არ ექნებათ. "არ იქნება "გაზპრომი", იქნება "იტერა", არ იქნება "იტერა", იქნება ვინმე სხვა," – ასეთია მათი პოზიცია. თუმცა, დღეს უკვე ერთმნიშვნელოვნად აშკარაა, რომ თბილსრესის გაზით უზრუნველყოფა წელს "გაზპრომის" გაზით მოხდება.

გაგრძელება A2 გვერდზე

## წინასასექტემბრო მუქარა

"ვაი მათ, ვინც 1 სექტემბერს ბავშვებს სახელმძღვანელოებს არ დაურიგებს! ჩვენ დილიდანვე გავაკონტროლებთ ამ პროცესს და ყველა დამნაშავეს გამოვავლენთ!" – ასეთი მუქარა გაისმა გუშინ თბილისის მერიაში, საკრებულოს თავმჯდომარის აპარატის უფროსის, გიორგი არველაძის პირიდან.

A2

## მეორედ გატაცებული ბავშვი უვნებლად დააბრუნეს

სამი დღის წინ გატაცებული, 11 წლის გიორგი სარდანაძე გამტაცებლებმა გუშინ დილით გაათავისუფლეს. გიორგი სარდანაძე საკუთარ ოჯახში ტაქსით დაბრუნდა. შეგახსენებთ, რომ ზესტაფონელი ბიზნესმენის, დიმიტრი სარდანაძის 11 წლის ვაჟის გატაცება-გათავისუფლება უკვე მეორედ მოხდა.

A2

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 32 |
| ბათუმი | 32 |
| ქუთაისი | 35 |
| სოხუმი | 32 |
| გორი | 32 |
| ცხინვალი | 32 |
| თელავი | 32 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1125 |
| ევრო | 2.3058 |
| გირვანქა სტერლ | 3.3390 |
| რუბლი | 0.0693 |

# პრეზიდენტის „ცხოვრების პროექტი" - სატყუარა თუ შირმა გარიგებებისთვის

*"ჩემი ცხოვრების პროექტი" – ასე უწოდებს პრეზიდენტი შევარდნაძე ხუდონჰესის მშენებლობის პროექტს, რომლის შეჩერებასაც ხშირად აყვედრის ზოგიერთ პოლიტიკოსს და საქართველოს ამჟამინდელ ენერგოკრიზისსაც მათ სინდისზე დებს. ამ დროს იგი არ ახსენებს იმ მილიარდებს, რომელიც ქართულ ენერგოსექტორში "დაიკარგა" და, რომლებიც ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის განმტკიცებას უნდა მოხმარებოდა. სამაგიეროდ, ახლახან, ხელისუფლებამ კვლავ გაიხსენა მივიწყებული ხუდონჰესი, რომლის პროექტის აღორძინებაც რუსეთთან უკანასკნელ თვეებში დადებულ ენერგოგარიგებებს თითქოს ხურდაში მიაყოლეს. რას ნიშნავს ხელისუფლების მიერ ეკონომიკურად (რომ არაფერი ვთქვათ, ეკოლოგიურ საფრთხეზე) გაუმართლებელი პროექტის გახსენება? ეს სატყუარაა იმის საჩვენებლად, რომ მოსახლეობის შუქით უზრუნველყოფის მიზნით, მთავრობა "დაკონსერვებულ" პროექტებსაც კი არ ტოვებს უყურადღებოდ, თუ შირმა, რომელიც რუსეთთან გაჩარხული გარიგებების მიმართ აღძრულ ეჭვებს დაფარავს?*

გვანცა კვინიკაძე

მოსკოვში რუსეთის ენერგოსექტორის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებზე მყოფი სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მამუკა ნიკოლაიშვილის განცხადებით, ზამთარში საქართველოს ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით უზრუნველყოფის გარდა, საუბარია ხუდონჰესის პროექტზეც. მისი თქმით, სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ "რაო ეესის" ხელმძღვანელს წერილი გაუგზავნა, რომელშიც სწორედ რუსულ ენერგოგიგანტს სთავაზობს ხუდონჰესის მშენებლობის დასრულებაში აქტიურად ჩართვას. სხვათა შორის, ახლადგამინისტრებული მამუკა ნიკოლაიშვილის სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს კოლექტივისთვის წარდგენისას, ჯორბენაძემ განაცხადა, რომ ხელისუფლება ყველანაირ, მათ შორის საგადასახადო შეღავათებს შესთავაზებს კომპანიას, რომელიც ხუდონჰესის მშენებლობით დაინტერესდება.

ვინ დაინტერესდება ამ ენერგოგიგანტით, ძნელი სათქმელია.

გაგრძელება A3 გვერდზე

# „ჩვენ ჰაკიმის მკვლელების სისხლი გვინდა!"

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ ერაყში ათასობით მუსულმანი შიიტი მათი სულიერი ლიდერის აიათოლა მოჰამედ ბაქრ ალ-ჰაკიმის დაკრძალვის ცერემონიალზე შეიკრიბა. ის პარასკევს ქალაქ ნაჯაფში მომხდარი უძლიერესი აფეთქების დროს დაიღუპა. აიათოლას ცხედარს, უფრო სწორად, მის ნაწილებს გამოსამშვიდობებელი ლოცვისათვის ბაღდადიდან 80 კილომეტრში მდებარე შიიტურ ქალაქ ქარბალაში გადაასვენებენ, რის შემდეგაც მას სამშაბათს ქალაქ ნაჯაფში დაკრძალავენ.

ერაყში აშშ-ს დროებითი ადმინისტრაციისადმი დაქვემდებარებულმა სამართალდამცველებმა შაბათს უკვე დააპატიმრეს ტერაქტში ეჭვმიტანილი ოთხი პიროვნება. ამჟამად მათი დაკითხვა მიმდინარეობს. ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, მათგან ორნი - ქალაქ ბასრაში ყოფილ რეჟიმს ემსახურებოდნენ. ვარაუდობენ, რომ ისინი სადამის დაქვემდებარებაში მყოფი ერთ-ერთი სპეცსამსახურის თანამშრომლები იყვნენ, ხოლო ორი პიროვნება კი არაბი ვაჰაბიტია და ერაყის მოქალაქეობა არ გააჩნია. ამჟამად დგინდება, თუ რომელი ქვეყნიდან არიან ისინი ჩამოსულები.

გაგრძელება A3 გვერდზე



REUTERS

მუსულმანი შიიტები მათი სულიერი ლიდერის აიათოლა მოჰამედ ბაქრ ალ-ჰაკიმს გლოვობენ.

# სახელისუფლებო ბლოკის რჩეულნი

*მომავალი კვირიდან ხელისუფლების მხარდამჭერი საარჩევნო ბლოკი საკუთარი მაჟორიტარი კანდიდატების სიის პრეზენტაციას გეგმავს. მანამდე კი, ბლოკის ლიდერებს ამ საპატიო სიაში ბოლო შესწორებები შეაქვთ. აღსანიშნავია ისიც, რომ რამდენიმე რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთა ვინაობა, ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არ არის (თბილისის უმეტესი რაიონები – რუსთავი, ფოთი, ქუთაისი, საგარეჯო). თუმცა, როგორც ბლოკის ლიდერები ირწმუნებიან, უახლოეს დღეებში ყველაფერი გაირკვევა და პრეზენტაციაც წარმატებით ჩაივლის.*

თამარ მჭედლიშვილი

გუშინ სახელისუფლებო ბლოკის ლიდერებს საკმაოდ დატვირთული დღე ჰქონდათ. დღის პირველ ნახევარში პრეზიდენტ შევარდნაძის მხარდამჭერები ერთიან საარჩევნო სიებში კვოტების გადანაწილებასა და მაჟორიტარ კანდიდატთა თაობაზე ბჭობდნენ, საღამოს კი პრეზიდენტთან შესახვედრად გაემართნენ. ამ შეხვედრას ერთი მიზანი ჰქონდა – ბლოკის ლიდერებმა პრეზიდენტს მაჟორიტარი კანდიდატების ჩამონათვალი გააცნეს და, თანაც, ვაკანტურ ადგილებზე პრეტენდენტთა თაობაზე აზრსაც დაეკითხნენ.

რა შედეგებით დასრულდა პრეზიდენტთან აუდიენცია და ვის მიანიჭა მან უპირატესობა, ეს სულ მალე გამოჩნდება. მით უფრო, რომ დრო არ ითმენს და ყველა კანდიდატს საკუთარი საარჩევნო კამპანია დასაწყები აქვს.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სახელისუფლებო ბლოკისთვის ყველაზე რთული თბილისის მაჟორიტარ კანდიდატთა შერჩევა აღმოჩნდა. პრეზიდენტთან შეხვედრამდე მათ მხოლოდ ჩუღურეთის რაიონის საკითხი ჰქონდათ გადაწყვეტილი (იქ კენჭს პარლამენტარი ზეზვა ღუღუნიშვილი იყრის). თანაც, ბლოკის ლიდერები ამ პრობლემის გადაჭრაში აქტიურად ვერ ერეოდნენ, რადგან თბილისში კანდიდატების შერჩევა მთლიანად ქალაქის მერ ვანო ზოდელავაზე იყო დამოკიდებული.

რაც შეეხება დანარჩენ კანდიდატებს, როგორც სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე ირწმუნება, **"ბლოკმა საინტერესო ადამიანები შეარჩია, რომლებიც რეგიონებში ავტორიტეტით სარგებლობენ და გამარჯვების სერიოზული**

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 სპორტი A6 - A7 "საოჯახო ტოტო" A8 სხვადასხვა

# საერთაშორისო ორგანიზაციებმა არჩევანი გააკეთეს, ჭერი პრეზიდენტზეა...



ლივიუ ბოტა პრეზიდენტთან კანდიდატებით გამოცხადდა.

პირველი გვერდიდან

**ამდენად, ყველა კანდიდატი მეტ-ნაკლებად მისაღებია".** თუმცა, გელბახიანმა იქვე დაგვიკონკრეტა, რომ ეს პირადად მისი და არა ბლოკის პოზიცია გახლდათ.

სამაგიეროდ, "აღორძინების" მეორე წარმომადგენელი უკვე მთელი ბლოკის სახელით საუბრობდა. როგორც ცნობილია, საკუთარი სიმპათიები აჭარის ლიდერმა ცესკო-ს ამჟამინდელი თავმჯდომარის გია ზესაშვილისადმი გამოთქვა. სანდრო ბრეგაძე აცხადებს, რომ ამგვარი პოზიცია ასლან აბაშიძეს ოფიციალურად არსად დაუფიქსირებია: **"საბოლოო სამი კანდიდატის შერჩევისას კი, მართალია, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ პროფესიონალიზმის პრინციპი მეტ-ნაკლებად დაცული იყო, მაგრამ მიუკერძოებლობის თვალსაზრისით, ამის გაკეთება ვერ მოხერხდა. საერთოდ, ზესაშვილის საუკეთესო შემცვლელად "აღორძინებას" საპატრიარქოს წარმომადგენელი გიორგი ანდრიაძე ესახებოდა".** "ტრადიციონალისტ" თედო პაატაშვილს სამივე კანდიდატურა მისაღებად მიაჩნია. ყველაზე რეალურად კი ცესკო-ს თავმჯდომარის პოსტზე მას ნანა დევდარიანის დანიშვნა ესახება. **"ომბუდსმენმა, ამ პოსტზე მუშაობის განმავლობაში, თავისი მიუმხრობლობა დაამტკიცა."** "მოქალაქეთა კავშირის" თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე ზეზვა ღუღუნიშვილი უპირატესობას სწორედ ომბუდსმენს ანიჭებს, **"როგორც პრაქტიკოსს, თუმცა, არც ვახტანგ ხმალაძის კანდიდატურაა მიუღებელი, როგორც საარჩევნო საქმის თეორეტიკოსისა".** რა გასაკვირია, რომ სახელისუფლებო ბლოკი მხარს სწორედ "სოციალისტ" ნანა დევდარიანს უჭერდეს.

როგორც სახელისუფლებო პარტიის, ისე ოპოზიციის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტი არჩევანს სწორედ ნანა დევდარიანზე შეაჩერებს.

# წინასასექტემბრო მუქარა

"ვაი მათ, ვინც 1 სექტემბერს ბავშვებს სახელმძღვანელოებს არ დაურიგებს! ჩვენ დილიდანვე გავაკონტროლებთ ამ პროცესს და ყველა დამნაშავეს გამოვავლენთ!" – ასეთი მუქარა გაისმა გუშინ თბილისის მერიაში, საკრებულოს თავმჯდომარის აპარატის უფროსის, გიორგი არველაძის პირიდან.

ვისი მისამართით ითქვა ეს სიტყვები, გუშინ არ დაკონკრეტებულა. სამაგიეროდ ითქვა, რომ როგორც იქნა, განათლების სამინისტრომ შეასრულა აღებული ვალდებულება და წიგნები სკოლებში დასარიგებლად წაიღო.

საკრებულოს ხელმძღვანელობა კიდევ ერთხელ შეახსენებს თბილისელი პირველკლასელების მშობლებს, რომ მათთვის ყველა სახელმძღვანელო და რვეული უფასოა და ეს საჩუქარი მათ სასკოლო ჩანთებში ჩალაგებული დღეს დაურიგდებათ.

საკრებულოს ხელმძღვანელობა აფრთხილებს ასევე თბილისელ მეორე და მესამე კლასელებს: მათთვის ქალაქმა ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები და რვეულები შეიძინა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ისინიც უფასოდ მიიღებენ.



გიორგი არველაძე: "ვაი მათ, ვინც 1 სექტემბერს ბავშვებს სახელმძღვანელოებს არ დაურიგებს!"

ეს გაფრთხილება, როგორც საკრებულოს აპარატის უფროსმა განმარტა, მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც ქალაქის ხელმძღვანელებს მიმართეს 108-ე და 87-ე სკოლების პირველკლასელთა მშობლებმა, სახელმძღვანელოებისთვის ფულს გვართმევენო.

მსგავსი შემთხვევების დასაფიქსირებლად საკრებულო "ცხელი ხაზის" გახსნას აპირებს, საქმეში ცუდად ჩარევის მსურველებს კი კიდევ ერთხელ აფრთხილებს, მოსახლეობის ხარჯზე ხელის მოთბობას თავი დაანებონ.

*24 საათი*

# სახელისუფლებო ბლოკის რჩეულნი

პირველი გვერდიდან

**საფუძველი აქვთ". "ეს ადამიანები სავსებით აკმაყოფილებენ იმ პირობებს, რომელიც პარლამენტის დეპუტატს მოეთხოვება და ამიტომ მათ გამარჯვებაზე სახელისუფლებო ბლოკი სერიოზულ იმედებს ამყარებს",** – ასე დაახასიათა სახელმწიფო მინისტრმა ბლოკის რჩეულნი.

რამდენად გაიზიარებს ამომრჩეველი სახელმწიფო მინისტრის ამ მოსაზრებას, ამას ორი ნოემბერი გვაჩვენებს, დღეს კი "24 საათი" სახელისუფლებო ბლოკის პროტეჟეთა მოკლე ჩამონათვალს გთავაზობთ.

**აბაშა – თემურ კალანდაძე, ზუგდიდი – თენგიზ ჯგუშია, მესტია – ივერი ჭელიძე, გორი – ვახტანგ ყანჩაველი, კასპი – ლ. გზირიშვილი, ქარელი – ალბერტ ინდუაშვილი, ხაშური – სიმონ ნოზაძე, ლიახვის ხეობა – გურამ ვახტანგაშვილი, ამბროლაური – ნიკო ლეკიშვილი, ონი – რევაზ ნოდარიშვილი, ცაგერი – ავთანდილ სილაგაძე, ლენტეხი – გოგი ლიპარტელიანი, მცხეთა – ბადრი ხატიძე, ახალგორი – ცეზარ ჩოხელი, თიანეთი – თამაზ მეჭიაური, წყალტუბო – ლაშა ნარჩემაშვილი, ვანი – მელორ ტყეშელაშვილი, ტყიბული – ბონდო შალიკიანი, ჭიათურა – თენგიზ მოცრაძე, ხარაგაული – ნუგზარ ნავაძე, ყვარელი – გივი ყვარელაშვილი, ლაგოდეხი – ლაშა ნაცვლიშვილი, თელავი – გივი ბეციაშვილი, გურჯაანი – ნიკა კვეზერელი, ახმეტა – პაატა ცაბიკიძე, სიღნაღი – ნუგზარ შოშიაშვილი, ადიგენი – ნუგზარ ქიმაძე, ნინოწმინდა – ენზელ მკოიანი, ბორჯომი – მიხეილ ოსაძე, ახალქალაქი – გიორგი შახბექიანი, გარდაბანი – ნუგზარ ფერიაშვილი, ბოლნისი – ზურაბ ჯაფარიძე, წალკა – იურიკ ხჩოიანი, დმანისი – შოთა ციხელაშვილი, მარნეული – ადილ ჯაფაროვი, თეთრიწყარო – ვახტანგ ზანგურაშვილი.**

როგორც უკვე ვთქვით, ახალი გვარები ამ ჩამონათვალს უახლოეს დღეებში მიემატება.

# საქართველო შამილ ბასაევის საშიშ ტერორისტად გამოცხადებას მხარს უჭერს

ჩეჩენი საველე მეთაურის შამილ ბასაევის გვარის საშიშ ტერორისტთა სიაში შეტანის შესახებ გაერო-სათვის გაგზავნილ ამერიკის, დიდი ბრიტანეთისა და რუსეთის ფედერაციის მოთხოვნას საქართველოს მთავრობაც უერთდება და აცხადებს, რომ მზად არის, საერთაშორისო ტერორისტების გამოვლენისა და მათთვის შესაბამისი სასჯელის შეფარდების მიზნით, სხვადასხვა ქვეყნის შესაბამის სტრუქტურებთან ითანამშრომლოს.

ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ცნობით, ბასაევი აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების გამო, საქართველოს სამართლებრივი სტრუქტურების მიერ ჯერ კიდევ 1992-1993 წლიდან იძებნება. მათი თქმით, აფხაზეთის ომის დროს ბასაევს არძინბას სეპარატისტულ რეჟიმში ერთ-ერთი წამყვანი, აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის თანამდებობა ეკავა. მას სეპარატისტული მთავრობის ლიდერმა ვლადისლავ არძინბამ „აფხაზეთის გმირის" წოდება მიანიჭა.

ქვეყნის მთავრობას იმედი აქვს, რომ შამილ ბასაევის საშიშ ტერორისტად გამოცხადება კიდევ ერთი მაგალითი იქნება ტერორიზმთან ბრძოლაში „ორმაგი სტანდარტების" მიუღებლობის თვალსაზრისით. ამასთან, დაადასტურებს მოუგვარებელი კონფლიქტების, როგორც ტერორიზმის ძირითადი მკვებავი გარემოს აღიარების აუცილებლობას.

შეგახსენებთ: უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ რამდენჯერმე მიმართა საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ „აფხაზეთის კონფლიქტის დროს გაღვივებული საშიში ტენდენციები რეგიონში ორგანიზებული დანაშაულისა და ახალი კონფლიქტების წყარო გახდებოდა".

*მედია-ნიუსი*

# დღეიდან "თელასი" "რაო ეეს როსსიის" საკუთრებაა

პირველი გვერდიდან

მოკლედ, ენერგოსექტორში დიდი ფუსფუსია და ამ ფონზე იქმნება შთაბეჭდილება, რომ ძალაში რჩება ჩუბაისის დაპირება: "წელს ზამთარში საქართველოში დენი იქნება და, თანაც, უწყვეტად". თუმცა, ეს მხოლოდ შთაბეჭდილებაა, რადგან პირველმა პრობლემებმა უკვე იჩინა თავი და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა "მკაცრი შეზღუდვების აუცილებლობაზე" ალაპარაკდა.

"24 საათი" უკვე წერდა, რომ სახელმწიფო ელექტროსისტემა ქვეყნის მასშტაბით მკაცრ ენერგოშეზღუდვებს იწყებს. გრაფიკის თანახმად, საუკეთესო პირობები თბილისის მოსახლეობას ექნება, თუმცა აქაც ქალაქის ცენტრი ელექტროენერგიას 12 საათის განმავლობაში მიიღებს, გარეუბნები კი - მხოლოდ 6-8 საათის განმავლობაში. წინასწარი მონაცემებით, რეგიონებში გრაფიკი გაცილებით უფრო მკაცრი იქნება, ვიდრე თბილისში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ გრაფიკების შემოღებას კატეგორიულად უარყოფს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი მამუკა ნიკოლაიშვილი. თუმცა, ფაქტი ფაქტად რჩება: დედაქალაქში ელექტროენერგიის შეზღუდვები უკვე დაწყებულია. ჯერჯერობით, ეს პროცესი სპონტანურად – ყოველგვარი გრაფიკის გარეშე ხდება.

მოკლედ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ენერგოკრიზისი წელს უკვე დაიწყო და მისი სტარტი, რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის კურატორთა მიერ ნანინანატრი "რაოს" შემოსვლას დაემთხვა.

სახელმწიფო ელექტროსისტემის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, ამ შეზღუდვების აუცილებლობა ელექტროსადგურებში წყლის დაბალი დონით არის ნაკარნახევი. როგორც ჩანს, ამ კომპანიის ირლანდიელ მენეჯერებს ჩუბაისის დაპირებების ისე ღრმად არ სჯერათ, როგორც კანცელარიაში და წინასწარ ცდილობენ თადარიგის დაჭერას. "თუ ჰიდროსადგურებში წყალი ახლავე არ დავზოგეთ, მძიმე ზამთარი გველის," – შიშობენ ელექტროსისტემაში და ენგურჰესის კაშხალზე წყლის დონის ამაღლების აუცილებლობაზე საუბრობენ.

თუმცა, მთელი საქართველოს მასშტაბით მოსალოდნელი ელექტროენერგიის მკაცრი შეზღუდვების მიღმა სხვა მოტივაციას ხედავენ რუსული საინფორმაციო საშუალებები. "რია ნოვოსტის" ცნობით, თბილისში უკვე დაწყებული შეზღუდვების მიზეზი საბითუმო ბაზრისადმი "თელასის" დავალიანებაა, რომელიც 22 მილიონ დოლარს შეადგენს.

"თელასში" იმედოვნებენ, რომ საბითუმო ბაზარს 22 მილიონ დოლარს სახელმწიფო გაუსტუმრებს, რადგან ბიუჯეტს დედაქალაქის ელექტრომომარაგების ქსელისა გაცილებით მეტი მართებს. თბილისის ელექტროგამანაწილებელი კომპანია, რომელსაც ამერიკული მენეჯმენტის ხელი აშკარად მოაკლდა, ამ ვალების ჩათვლის მექანიზმით გასტუმრებას ითხოვს. სავარაუდოდ, "რაო ეეს როსსიის" მენეჯმენტს, რომელიც "თელასში" ოფიციალურად დღეს დილიდან შემოდის, საქართველოს ოფიციოზთან საუბარი არ გაუჭირდება. ბოლოს და ბოლოს, იმაზე, რომ ქართულ ბაზარზე "გაზპრომისა" და "რაო ეეს როსსიის" შემოსვლა პოლიტიკური მოტივებით იყო განპირობებული, უკვე რუსეთშიც ღიად ლაპარაკობენ.

ჩვენი ხელისუფლება კი თავისი საამაყო გარიგებების მიღმა კვლავ "კომერციულ ინტერესებს" ეძებს და ცდილობს საზოგადოება დაარწმუნოს, რომ ქართულ ენერგეტიკას ნათელი მომავალი უკვე დაუდგა. მაგალითად, სემეკი დაუღალავად ელის, როდის შეამცირებს "რაო ეეს როსსიი" ელექტროენერგიის ტარიფს საქართველოში, ხოლო სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს სჯერა, რომ ჰიდროელექტროსადგურებს ამიერიდან წვიმა კი არა, ჩუბაისის "კეთილი ნება" შეავსებს.

დღევანდელი გადმოსახედიდან კი აშკარაა, რომ უკვე ამ ზამთარს ქვეყნის ელექტრომომარაგება საქართველოს ძვირი დაუჯდება. სავარაუდოდ, ძირითადი ორიენტაცია ელექტროენერგიის რუსეთიდან იმპორტზე გადავა. რუსული გაზით იმუშავებს თბილსრესის მე-9 ენერგობლოკიც. შესაბამისად, დაგროვდება დიდძალი ვალი, რომელიც, ხელისუფლებას დღეს ნაკლებად აღელვებს: მის გასტუმრებაზე ზრუნვა ხომ უკვე მომავალ – პოსტშევარდნაძისტულ ხელისუფლებას მოუწევს.

# მეორედ გატაცებული ბავშვი უვნებლად დააბრუნეს

*სამი დღის წინ გატაცებული 11 წლის გიორგი სარდანაძე გამტაცებლებმა გუშინ დილით გაათავისუფლეს. გიორგი სარდანაძე საკუთარ ოჯახში ტაქსით დაბრუნდა. შეგახსენებთ, რომ ზესტაფონელი ბიზნესმენის, დიმიტრი სარდანაძის 11 წლის ვაჟის გატაცება-გათავისუფლება უკვე მეორედ მოხდა. პირველად ის 12 თებერვალს, მეგობრებთან ერთად ქუჩაში მიმავალი, სამმა ნიღბიანმა უცნობმა ძალის გამოყენებით გაიტაცა. სამი დღის წინ კი ქობულეთიდან მომავალ სარდანაძეების ავტომანქანას ოთხმა ნიღბიანმა შეიარაღებულმა თავდამსხმელმა ჯერ ცეცხლი გაუხსნა, შემდეგ კი დაცხრილული მანქანიდან გიორგი სარდანაძე სხვა მანქანაში გადასვეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

ორივე გატაცება-გათავისუფლების დეტალები მკაცრად გასაიდუმლოებულია. ორივე შემთხვევაში, სარდანაძეების ოჯახი და პოლიცია, ბავშვის გამოსახსნელად, ცალ-ცალკე მუშაობდა. ისევე, როგორც პირველი გატაცებისას, ახლაც, რამდენიმედღიანი მძევლობის შემდეგ, გამტაცებლებმა ბავშვი უვნებლად, თავად დააბრუნეს. პოლიციას მისი გასათავისუფლებელი სპეცოპერაცია არ ჩაუტარებია.

სამართალდამცველები არ მალავენ, რომ ბიზნესმენ დიმიტრი სარდანაძის ოჯახი, ორივე შემთხვევის დროს, საქმეში პოლიციის ჩართვის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. იმის დასამტკიცებლად, რომ მიუხედავად ამისა, პოლიცია თავის საქმეს მაინც აკეთებდა, სამართალდამცველები რამდენიმე თვის წინ, გიორგი სარდანაძის გატაცებაში ეჭვმიტანილი ხუთი პიროვნების დაკავების ფაქტს იხსენებენ. სხვათა შორის, ხუთი დაკავებულიდან ერთ-ერთი - ბაბუნაშვილი მეხუთე საპყრობილეში საკუთარი შარვლით ჩამოხრჩობილი იპოვეს. ბაბუნაშვილის ახლობლები და ოჯახის წევრები მაშინ ირწმუნებოდნენ, რომ ის აღიარებითი ჩვენების მოსაპოვებლად სასტიკად აწამეს. ახლობელთა მტკიცებითვე, ბაბუნაშვილი სამართალდამცველებს შემოაკვდათ და თვითმკვლელობის ინსცენირებაც სწორედ მათ მოაწყვეს.

ერთი სიტყვით, გიორგი სარდანაძის პირველ გატაცებაში ბრალდებულები – ბრეგაძე, ბერუჩაშვილი, ფურცხვანიძე და ჭრელაშვილი ამჟამად ციხეში იმყოფებიან. სამართალდამცველები გიორგი სარდანაძის გატაცებებს შორის კავშირზე მინიშნებებით საუბრობენ და ვარაუდობენ, რომ ახალი გატაცება იმავე დაჯგუფების წევრებმა განახორციელეს. "დასაშვებია, გატაცების მიზეზი შუღლიც იყოს, რომელიც შესაძლოა არსებობდეს დიმიტრი სარდანაძესა და იმ პირთა შორის, რომელთა შეკვეთილიც არის ბიჭის გატაცება", - ასეთი პოზიცია აქვს შინაგან საქმეთა მინისტრს კობა ნარჩემაშვილს. ოჯახის წევრები კი ბავშვის გათავისუფლების დეტალებს კვლავ ასაიდუმლოებენ და გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სარდანაძეებმა ორივე გატაცებისას გამტაცებლებს გასათავისუფლებლად მოთხოვნილი სოლიდური თანხა - 50 ათასი დოლარი გადაუხადეს, უარყოფენ.

მიუხედავად სარდანაძეების კატეგორიული წინააღმდეგობისა, ჩვენი ინფორმაციით, პოლიცია გიორგი სარდანაძის დაკითხვას აპირებს, რომელიც ამჟამად იმერეთში აღარ იმყოფება. ჩვენივე ინფორმაციით, ოჯახმა ის თბილისში წამოიყვანა. როგორც ამბობენ, სახლში უვნებლად დაბრუნებული გიორგი სარდანაძე სტრესულ მდგომარეობაში იმყოფება და ექიმის დახმარება სჭირდება.

ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ გიორგი სარდანაძის გატაცება-გათავისუფლების შესახებ სამართალდამცველებიც და მისი ოჯახის წევრებიც მწირ ინფორმაციას გასცემენ, არაოფიციალურად რამდენიმე ვერსია ვრცელდება. ერთი ვერსიის თანახმად, ბიზნესმენ დიმიტრი სარდანაძეს, ფირმა "ედემის" მფლობელს, კარგ გადამხდელად თვლიან და მისგან ფულის შოვნას სწორედ ამ გზით ცდილობენ. სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინ, იმ დროს, როდესაც გიორგი სარდანაძე გაიტაცეს, სარდანაძეების ოჯახმა გაამჟღავნა, რომ რამდენიმე დღით ადრე, უცნობებმა მამა-სარდანაძის გატაცება სცადეს, მაგრამ ვერ მოახერხეს. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, გატაცებულის მამას, წინა გატაცებისას რაღაც შეეშალა. საუბარია გამტაცებლების მიერ მოთხოვნილ 50 ათას დოლარზე, რომელიც, გავრცელებული ხმებით, დიმიტრი სარდანაძემ სრულად არ გადაიხადა. 11 წლის ბავშვის გათავისუფლების საქმეში ორივე შემთხვევაში რომ "შავი სამყაროს" გავლენიანი წარმომადგენლები ურევია, ამას უკვე არავინ უარყოფს.

როგორ ჩვენებას მისცემს სამართალდამცველებს უკვე ორჯერ გატაცებული 11 წლის ბავშვი, რომელიც ორივეჯერ გაურკვეველ ვითარებაში, საკუთარი ფეხით დაბრუნდა მშობლებთან, წინასწარ ძნელი სათქმელია. ფაქტი ერთია – სარდანაძეების ოჯახი მომხდარის შესახებ დუმილს ამჯობინებს.

## მოკლედ

### ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტი საქართველოს საკითხს განიხილავს

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის სხდომა, რომელზეც საქართველოს საკითხს განიხილავენ, პარიზში 10 სექტემბერს გაიმართება.

პარლამენტარ ელენე თევდორაძის განცხადებით, სხდომაზე საბოლოოდ გადაწყდება, როდის განიხილება საქართველოს საკითხი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე - სექტემბერში თუ დეკემბერში.

მისივე თქმით, სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე, ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის ექსპერტები საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვლენ და ქვეყანაში არსებულ წინასაარჩევნო ვითარებას კიდევ ერთხელ გაეცნობიან.

მიმდინარე წლის განმავლობაში ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის ექსპერტები რამდენჯერმე ჩამოვიდნენ საქართველოში და ევროსაბჭოს, ქვეყანაში არსებულ წინასაარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით, უარყოფითი დასკვნები წარუდგინეს.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** მეთერთმეტე დღეა, აფხაზეთის ომის ვეტერანები „იმელის" შენობის წინ შიმშილობას აგრძელებენ. მათი მოთხოვნა უცვლელია — გადადგეს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დევნილთა საპროტესტო აქციის ენგურის საორგანიზაციო შტაბი სექტემბრის დასაწყისში თბილისში დევნილთა ფართომასშტაბიანი ყრილობის გამართვას აპირებს. ყრილობის დასაფინანსებლად ამჟამად ისინი ოპოზიციურ პარტიებთან კონსულტაციებს მართავენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" თელავში რაიონული და კახეთის სამხარეო ორგანიზაციები დააფუძნა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისს ოფიციალური ვიზიტით ეწვია რუსეთის სამთავრობო დელეგაცია ჩეჩნეთის საკითხებში, სამთავრობო კომისიის თავმჯდომარის სტანისლავ ილიასოვის ხელმძღვანელობით. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის წარმომადგენლის ხიზრი ალდამოვის მონაცემებით, პანკისის ხეობაში მცხოვრები ჩეჩენი დევნილების აბსოლუტური უმრავლესობა ჩეჩნეთში დაბრუნების წინააღმდეგია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფრაქცია „XXI საუკუნის" ლიდერის ელიზბარ ჯაველიძის თქმით, მისი პოლიტიკური მოძრაობა საპარლამენტო არჩევნებში „აღორძინების" ერთიანი სიით მიიღებს მონაწილეობას. მისივე ინფორმაციით, „აღორძინების დემოკრატიულ კავშირში" საარჩევნო სიების შედგენის პროცესი პარტიული ყრილობის შემდეგ დაიწყება, რომელიც სექტემბრის თვეში უნდა გაიმართოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ნაციონალ-ლიბერალური პარტია", რომლის ლიდერიც ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, თბილისის საკრებულოს წევრი მანუჩარ მაჩაიძეა, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში ბლოკის შექმნის თაობაზე პოლიტიკურ გაერთიანება "ერთობასთან" კონსულტაციებს აწარმოებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე დემურ გიორხელიძე სექტემბერში პარლამენტის სხდომაზე საკუთარი ინიციატივის - პრესისთვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების საკითხის -კენჭისყრაზე დაყენებას მოითხოვს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება "ვაზის პარტია რუსეთთან ერთად" "ერთობასთან" საარჩევნო ბლოკის შექმნის თაობაზე კონსულტაციებს მართავს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ 28 აგვისტოს რუსული სამხედრო თვითმფრინავის ჟს-25-ის მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის გამო, რუსულ მხარეს საპროტესტო ნოტა გაუგზავნა. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** დღეიდან დედაქალაქში ძალაში შედის ელექტროენერგიის ახალი სამომხმარებლო ტარიფი. ყოველ 100 კილოვატსაათ ელექტროენერგიაზე მომხმარებელი 12.18 თეთრს გადაიხდის, 100-დან 200 კილოვატსაათამდე — 13.7 თეთრს, 200-დან 400 კილოვატსაათამდე — 15.2, ხოლო 400 კილოვატსაათს ზევით — 16.8 თეთრს. შეგახსენებთ, რომ ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფის შესახებ სემეკის 7 აგვისტოს დადგენილება, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში 15 აგვისტოს გაატარა. ელექტროენერგიის ტარიფის მომატება საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით მოხდა. მიმდინარეობს საუბრები ტარიფის კვლავ შემცირების შესახებ. ამ დაპირებას საკუთარ მომხმარებელს "თელასის" ახალი მეპატრონე, "რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემა" აძლევს, ხოლო სემეკი ამ დაპირებას უსაფუძვლოდ არ მიიჩნევს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მოთხოვნა, მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის შესახებ, კომპანიის 23 რაიონული ფილიალიდან მხოლოდ 5-მა შეასრულა. ამ დროისათვის ელექტროენერგიის საფასური გადაიხადეს ზესტაფონმა, ახალგორმა, აბაშამ, თიანეთმა და მარტვილმა. დაპირებისამებრ, მათ ელექტროენერგიის მიწოდება აღუდგათ. დენის გარეშე დარჩენილია ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, სენაკი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური, ხონი, ტყიბული, ამბროლაური, ლენტეხი, დუშეთი, ყაზბეგი, დმანისი, თეთრიწყარო, მანგლისი და თელეთ-მარტყოფი. შეგახსენებთ, რომ თანხების გადაუხდელობის გამო სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ დენის მიწოდება ზემოთნახსენებ რაიონებს 27 აგვისტოს, 18 საათიდან შეუწყვიტა. დენის შეწყვეტის შემდეგ ზოგიერთ რაიონებში ელექტროენერგიის თვითნებურად ჩართვის ფაქტებს ჰქონდა ადგილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ ყაზბეგის რაიონის მოსახლეობამ საქართველოს სამხედრო გზა გადაკეტა. აქციის მინაწილენი რაიონისთვის შეწყვეტილი ელექტრომომარაგების აღდგენას მოითხოვდნენ. აქციის შედეგად, დღეს საქართველო-რუსეთის საზღვარს უამრავმა ავტომანქანამ ვერ მიაღწია, - იუწყება სააგენტო "იტარ-ტასი". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე დემურ გიორხელიძე სექტემბერში პარლამენტის სხდომაზე პრესისთვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების საკითხის კენჭისყრაზე დაყენებას მოითხოვს. მისი ინიციატივით, ბეჭდვითი გამოცემები ტირაჟიდან და რეკლამის განთავსებიდან მიღებული მოგების გადასახადის, ასევე საკუთარი წარმოებისთვის საჭირო ქაღალდის და სხვა მოწყობილობების დამატებითი ღირებულების გადასახადებისაგან უნდა გათავისუფლდნენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საერთაშორისო ენერგოკომპანია „იტერას" მოთხოვნით "თბილგაზმა" ივლისის თვეში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური — 708 ათასი ამერიკული დოლარი 1 სექტემბრისათვის უნდა გადაიხადოს, ან კომპანიას თანხის გადახდის დამადასტურებელი საბანკო გარანტია უნდა წარუდგინოს. "იტერა" აგრეთვე 15 სექტემბრისათვის აგვისტოში მოწოდებული ბუნებრივი აირის საფასურის გადახდას ან საბანკო გარანტიას ითხოვს. ორი თვის დავალიანების საერთო თანხა 800000 ამერიკული დოლარია. აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი აირის მომწოდებელს და მიმღებს შორის თანხის წინასწარ გადახდის შეთანხმება არსებობს, თუმცა შეთანხმების შესრულების არც ერთი ფაქტი დღემდე არ დაფიქსირებულა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მოთხოვნით, დღეიდან ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე რეალიზაციის ქსელში არსებულ ყველა პროდუქციას უცხოური წარწერის შესატყვისი ქართული წარწერა უნდა ჰქონდეს. ამ მოთხოვნას ანტიმონოპოლიური სამსახური პროდუქციის იმპორტიორებს და რეალიზატორებს საქართველოს პარლამენტის მიერ 2003 წლის მარტში „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონში" ცვლილების შეტანის საფუძველზე უყენებს. ცვლილების მიხედვით, ქართული წარწერა შინაარსობრივად და სიდიდით უნდა შეესაბამებოდეს პროდუქციაზე არსებულ უცხოურ წარწერას. **მედია-ნიუსი**

# ხელისუფლება – ბიზნესი და კრიმინალი ერთ სახეში

პირველი გვერდიდან

პოლიტიკაზე დღეს მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენენ, რადგან მაღალია ქვეყნის პირველ პირზე მათი დამოკიდებულების ხარისხი. ამიტომ, საქართველოში ამ კუთხით შექმნილ მდგომარეობას რუსეთში დამკვიდრებული კრიტერიუმებით თუ შევაფასებთ, ცალსახად დავასკვნით - ჩვენს ქვეყანაში, ჯერჯერობით, ოლიგარქები არ არსებობენ და მათი ცალკე ჯგუფად ჩამოყალიბების პროცესი კიდევ რამდენიმე წელიწადს გასტანს.

ქართულ პრესაში რამდენჯერმე გაიჟღერა ფრაზამ "ფეოდალური კაპიტალიზმი", რაც ყველაზე მეტად შეესაბამება შექმნილ რეალობას. საქმე ისაა, რომ საქართველოში დიდი ბიზნესი იმდენად არის შეზრდილი ხელისუფლებასთან, რომ მისი ცალკე ფუნქციონირება ამ ეტაპზე წარმოუდგენელია. წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ფინანსური ვერტიკალის სათავეში, ფაქტობრივად, ქვეყნის პირველი პირი დგას, რომელიც ყველაზე მომგებიან სფეროებს საკუთარი გარემოცვის საშუალებით აკონტროლებს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ქართული ბიზნესელიტა სწორედ მისი მმართველობის პერიოდში ჩამოყალიბდა.

მიუხედავად იმისა, რომ 1992 წელს საქართველოში დაბრუნებულ შევარდნაძეს დანგრეული ეკონომიკა დახვდა, მან მოახერხა, სტაბილურობის ნიშნების გაჩენისთანავე აქცენტი ფინანსური სადავეების ხელში აღებაზე გაეკეთებინა. საკანონმდებლო ვაკუუმი მას თავიდან ეკონომიკის სფეროში მოქმედების დიდ თავისუფლებას აძლევდა. სახელმწიფო ობიექტების სანდო პირებისათვის გადაცემით და მათთვის მისაღები ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებით, შევარდნაძემ საფუძველი ჩაუყარა იმ მდიდარი ადამიანების ფენის შექმნას, რომლის ერთი ნაწილი დღეს უკვე ოლიგარქობაზე აცხადებს პრეტენზიას.

შევარდნაძის ხელშეწყობით შექმნილი ქართული ბიზნეს-ელიტა დღესაც მისი კონტროლის ქვეშ რჩება. ხელისუფლებას მეწარმეების სამართავად მნიშვნელოვან ბერკეტებს აძლევს არაჯანსაღი ეკონომიკური გარემო, რაც ბიზნესმენს აიძულებს, ხშირ შემთხვევაში კანონის დარღვევის გზით იმოქმედოს. ასეთი გარემო წარმოშობს მეწარმესა და მაკონტროლებლებს შორის კორუფციულ გარიგებებს, რაც საბოლოოდ



ვახო ხაცულიას ფოტო

*ვიდრე "ოლიგარქის" ტიტულს მიიღებდნენ, ქართველი მდიდრები, ჯერჯერობით, საუკეთესო ბიზნესმენის დაჯილდოების ცერემონიალით ხალისობდნენ.*

სახელისუფლებო "კრიშების" შექმნით მთავრდება.

რუსეთში ხელისუფლება, ბიზნესი და კრიმინალი ერთად თანაარსებობს, მაგრამ მათ შორის ფუნქციები გამიჯნულია. საქართველოში კი ამ მხრივ საპირისპირო სურათის მოწმენი ვხდებით. შევარდნაძეს, პუტინისგან განსხვავებით, ურჩი ბიზნესმენების "ჭკუაზე მოსაყვანად" ძალოვანი სტრუქტურების ჩარევა არ სჭირდება, თუმცა მათ საკუთარი ძალაუფლების გასამყარებლად დიდ უფლებებს აძლევს. პრეზიდენტისგან ფრთაშესხმული ძალოვანები კი თავიანთ შესაძლებლობებს ხშირად კრიმინალური მიმართულებით წარმართავენ და გარკვეულწილად შავი სამყაროს ნიშას იკავებენ. ანუ საქართველოში საქმე გვაქვს ერთგვარ ანომალიურ მონსტრთან - ხელისუფლებასთან, რომელიც ბიზნესსაც და კრიმინალსაც საკუთარ თავში განასახიერებს.

საქართველოში დღეს ბიზნესის მნიშვნელოვან სფეროებს რამდენიმე ფინანსური დაჯგუფება განაგებს. მათ შორის ყველაზე შთამბეჭდავად გამოიყურება თავად პრეზიდენტის სანათესაო, რომელიც აკონტროლებს ნავთობს, საბანკო სფეროს, კომუნიკაციებს, ფოთის პორტს და სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფ სხვა საწარმოებს. უკანასკნელ ხანს მასმედიის საშუალებებში გაჩნდა ინფორმაცია, რომ რუსული ენერგოკომპანიების საქართველოში შემოსვლა ამ ჯგუფების კომერციულ ინტერესს უკავშირდება (ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტად შევარდნაძის შვილის მეგობრის სათბობ-ენერგეტიკის მინისტრად დანიშვნა სახელდება). უკვე სერიოზულ მასშტაბებს იძენს საქართველოში რუსული კაპიტალის შემოდინება, რაც მნიშვნელოვნად ცვლის ადგილობრივ ბიზნეს-გარემოს.

ასევე მყარი პოზიციები უკავიათ ისეთ ფინანსურ და სამეწარმეო ჯგუფებს, როგორიცაა "გაერთიანებული ქართული ბანკი", TBC, "ყაზბეგი", "კოკა-კოლა" და ა.შ. ფინანსური მაჩვენებლებით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს საქართველოს რკინიგზა, რომლის ხელმძღვანელსაც, როგორც ჩანს, საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან თანხების დამოუკიდებლად განკარგვის უფლება აქვს მიღებული. ამ ფონზე ასევე აღნიშვნის ღირსია ზოგიერთი რეგიონული ლიდერის პოზიციების გაძლიერება, რაც პირველ რიგში სერიოზული ფინანსური წყაროების გაკონტროლებაში გამოიხატება.

ქართული ბიზნეს-ელიტა ძალას იკრებს და ნელ-ნელა ქვეყნის პირველი პირის გავლენის სფეროდან გამოდის. 1999 წლის მოწვევის პარლამენტში მისმა რამდენიმე წარმომადგენელმა ხელშესახები პოლიტიკური მიზნების მიღწევა ვერ შეძლო, თუმცა ამ მიმართულებით ფინანსური დაჯგუფებების ბოლოდროინდელი გააქტიურება მიანიშნებს, რომ მომავალ პარლამენტში სურათი მათ სასარგებლოდ შეიცვლება. ქვეყნის პირველი პირისათვის ამ მხრივ საშიში სიგნალი ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დასაწყისში, საქართველოს გადამხდელთა კავშირის შეკრებაზე გაისმა, როცა მსხვილი ბიზნესის რამდენიმე წარმომადგენელმა უარი განაცხადა სახელისუფლებო საარჩევნო ბლოკის დაფინანსებაზე. ისინი 2 ნოემბრის არჩევნების წინ დიდ ფულს ხარჯავენ და მათ რჩეულებს, ძირითადად, ხელისუფლების მიმართ ნაკლებად ლოიალურად განწყობილი პიროვნებები შეადგენენ. თუ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ელიტური ბიზნესის წარმომადგენლები მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისთვის საჭირო ხმების რაოდენობას გააკონტროლებენ, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე მათი გავლენა საგრძნობლად გაიზრდება.

მომავალი ქართველი ოლიგარქები მთავარ აქცენტს საპრეზიდენტო არჩევნებზე აკეთებენ. ისინი აქტიურად ემზადებიან პოსტშევარდნაძისტული პერიოდისათვის, როცა ეკონომიკური სფეროების გადანაწილება მეტ-ნაკლებად დასრულებულ სახეს მიიღებს, ფეოდალური კაპიტალიზმი კი ოლიგარქიული კაპიტალიზმით შეიცვლება.

btc

SCP South Caucasus Pipeline

### მოთხოვნა წინადადებების წარდგენაზე გარემოს დაცვითი ინვესტიციების პროგრამა ფაუნის იშვიათი სახეობების კონსერვაციის ღონისძიებების მართვა

### ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (ბთჯ) და სამხრეთ კავკასიის (სკმ) მილსადენები ოპერატორი - კომპანია "BP"

გამოქვეყნების თარიღი:1 სექტემბერი 2003 წ

კონკურსის დახურვის თარიღი და დრო:13 ოქტომბერი 2003 წ,16.00 სთ თბილისის დროით

კომპანია "BP",რომელიც მოქმედებს როგორც ოპერატორი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (ბთჯ) კომპანიისა და შპს სამხრეთ კავკასიის მილსადენის (სკმ) სახელით, მიიღებს განცხადებებს კვალიფიციური ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან,რომელთა ძირითადი მიზანი იქნება ბთჯ და სკმ-ის მიერ ორივე პროექტის გარემოს დაცვითი ინვესტიციების პროგრამის ჩარჩოში განსაზღვრული მთავარი პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში პროექტების დაგეგმვა და განხორციელება.

გარემოს დაცვითი ინვესტიციების პროგრამის უმთავრესი მიზანია ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და პოპულარიზაციას. გარემოს დაცვითი ინვესტიციების პროგრამა დაფუძნებულია რამდენიმე სხვადასხვა მიმართულებად,რომლებიც განსაზღვრა ეროვნულ და საერთაშორისო "ინტერესის მქონე ჯგუფებთან" საკონსულტაციო პროცესში.

ამჟამად განიხილება შემოთავაზებები პროექტებზე,რომლებიც ეხება მხოლოდ შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებას: ფაუნის იშვიათი სახეობების,კერძოდ კავკასიური როჭოსა (*Tetrao mlokosiewiczi*) და მურა დათვის (*Ursus arctos*),კონსერვაციის ღონისძიებების მართვას. მიუხედავად იმისა,რომ აღნიშნული ორი სახეობა პრიორიტეტულია,მოხდება სხვა ფაუნის იშვიათი სახეობებთან დაკავშირებული წინადადებების განხილვაც,თუ მილსადენთან კავშირი დასაბუთებული იქნება. გარემოს დაცვითი ინვესტიციების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სხვა მიმართულებებისათვის მოთხოვნა წინადადებების წარდგენაზე გამოქვეყნდება ცალკე.

კომპანია "BP", როგორც აღნიშნული პროექტების ოპერატორი,მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საერთაშორისო, ეროვნულ და რეგიონალურ / რაიონულ ორგანიზაციებს შორის ალიანსების შექმნას ეკოლოგიური ინვესტორების პროგრამების პროექტების განსახორციელებლად.

წინადადებების წარდგენა შეუძლიათ შემდეგ ორგანიზაციებს:

- არაკომერციული, კერძო მოხალისეთა ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები ან ასოციაციები,რომლებიც ოფიციალურად რეგისტრირებული არიან საქართველოში და გააჩნიათ საქმიანობის განხორციელების ნებართვა.
- საქართველოში რეგისტრირებული კერძო ან კომერციული ორგანიზაციები, რომლებიც პროექტის საქმიანობას განახორციელებენ ხარჯების ანაზღაურების საფუძველზე (ე.ი. შემოსავლისა და მოგების უარის თქმის პირობით).
- საქართველოში არარეგისტრირებული საერთაშორისო ორგანიზაციები (ე.ი. რომლებსაც არ გააჩნიათ საქართველოში საქმიანობის განხორციელების ნებართვა) ეროვნულ ორგანიზაციებთან დოკუმენტურად გაფორმებული პარტნიორობის / ალიანსის არსებობის შემთხვევაში.
- ზემოაღნიშნული ნებისმიერი კომბინაცია დოკუმენტურად გაფორმებული პარტნიორობის / ალიანსის არსებობის შემთხვევაში.

ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა უნდა დაასაბუთონ,რომ გააჩნიათ შემდეგი სახის კომპეტენცია:

- გრანტის ტიპის პროექტის ან ანალოგიური ინიციატივის მართვის და / ან განხორციელების დასაბუთებული გამოცდილება,რომლის მინიმალური ღირებულება არაა ნაკლები 50 000 აშშ დოლარზე პროექტის მიმდინარეობის მანძილზე.
- ბიომრავალფეროვნების / ეკოლოგიის დარგში პროექტების მართვისა და განხორციელების დასაბუთებული გამოცდილება.
- შემოთავაზებული პროექტის სფეროში დასაბუთებული კომპეტენცია.
- სამუშაოთა განხორციელების შესაძლებლობა, რომელიც უზრუნველყოფს დაგეგმილ საქმიანობაში ჩართული ყველა პირის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და უსაფრთხოების დაცვას.
- ანგარიშების არსებობა,რომელთა აუდიტიც შესაძლებელია.

განაცხადის შევსების მსურველებს შეუძლიათ წინადადებების წარდგენის მოთხოვნის დოკუმენტაციის წაღება 2003 წლის 1 სექტემბრიდან 12 სექტემბრამდე შემდეგი მისამართიდან:

ბთჯ მილსადენის კომპანია / შპს სკმ
კომპანია "BP"-ის საქართველოს პროექტების ოფისი
საქართველო, თბილისი 380094
სანაპიროს ქ. №38

წინადადებების წარდგენის მოთხოვნის დოკუმენტაცია აგრეთვე განთავსებულია პროექტის ვებ-გვერდზე: www.caspiandevelopmentandexport.com.

## პრესომბუდსმენი

# მომავალ ორშაბათამდე

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ნოდარ ლადარია

გასული კვირის განმავლობაში საკვანძო პუბლიკაციად მივიჩნიე **შოთა უტიაშვილის** მიერ **ალექსანდრე რონდელისაგან** აღებული ინტერვიუ (26.08, *საქართველო კატასტროფის წინაშე*). სამწუხაროდ, გონიერ აზრს საქართველოში ერთი თვისება აქვს: დაახლოებით მაინც წინასწარ შეიძლება იწინასწარმეტყველო, როგორი იქნება მისი შინაარსი. ამის მიზეზი ჩვენი რეალობის უკიდურესი პრიმიტიულობა და უნიჭობაა. მაგრამ ალექსანდრე რონდელის საკვანძო ინტერვიუში ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკვანძო სიტყვა ამოვიკითხე, რომლის თქმა არა მარტო გონიერებას, არამედ სამოქალაქო სიმამაცეს უკავშირდება — ეს სიტყვაა "უზნეობა". სიტყვა სამჯერაა გამოყენებული. ვნახოთ:

1. "**ხალხის დაღლილობა, თანაც ჩვენში დიდი ხნის წინ დამკვიდრებული უზნეობა და ჭეშმარიტი პატრიოტიზმის დეფიციტი**". დიახ, პატრიოტიზმი ჩვენში არა მარტო დეფიციტია, არამედ, რაც დრო გადის სულ უფრო უკავშირდება უზნეობას. ამ კურთხეულ ქვეყანაში მართლმადიდებლობას იცავს დეპუტატი, რომელმაც ისიც არ იცის, რომ კათალიკოს-პატრიარქი ეპისკოპოსია. ეს დეპუტატი საჯაროდ წვავს ბეჭდვით პროდუქციას (26.08, *შარაძე მკალავიშვილს აქციებით იცავს*) და გვერდით უდგას უკვე თავისი პროფესიის პაროდიად ქცეულ ადვოკატს, ქართლოს ღარიბაშვილს, რომელიც ასევე საქვეყნოდ აცხადებს, რომ მისთვის "საქართველოს ნამდვილი პატრიარქი მამა ბასილია". 26 აგვისტოს მასალა სააგენტო "მედია-ნიუსის" მიერაა მოწოდებული. ვფიქრობ, რომ ამგვარი მასალები შესაბამისი კომენტარის საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ და არა გასავრცელებლად გამზადებულ ინფორმაციად. გურამ შარაძეს ქართველები ბრიყვებად მიაჩნია, რადგან ჰგონია, რომ მათი აყოლიება ასეთი უნიჭო და სწორხაზოვანი ხერხებით შეიძლება. ნუ ჩავვარდებით საწინააღმდეგო უკიდურესობაში და ნუ გვეგონება, რომ ჩვენში საკმარისადაა გავრცელებული ამგვარი უკომენტარო მასალების მართებულად შეფასების უნარი.

სამაგიეროდ, ჩვენი მესამეხარისხოვანი პატრიოტიზმის თემისადმი მიძღვნილი 28 აგვისტოს სტატიაში (**მაკა ჯაიანი**, *შარა-შარა, ეზო-ეზო, დროშები-დროშები*) ძალიან ფაქიზადაა მოძებნილი საჭირო ძირითადი ტონი, რომელსაც მე (ვიცი, ავტორს ოქროს გული აქვს და მაპატიებს!) ასე უხეშად გამოვხატავ: ბიჭებო, გეყოფათ დროშობანას თამაში და ქუჩების სისუფთავეს მიხედეთ. თუმცა ყოველივე ამის წყალობით იმას მივიღებთ, რომ უკვე ყველა თვალნათლივ დაინახავს: ას ჭიქის ამწევ ქართველზე მეტი სარგებლობა ერთ ცოცხიან ქურთის ქალს მოაქვს.

2. "**რატომ არის, რომ ბევრი ერისათვის თავისუფლება და სინათლე ერთად მოდის, ჩვენ კი მათ შორის არჩევანის გაკეთება გვიწევს? ეროვნული ინტერესების კუთხით, ეს ძალზე უზნეო არჩევანია**". ალექსანდრე რონდელი აქ ელექტროდენს გულისხმობს, მაგრამ "სინათლე" შეიძლება უფრო ფართოდაც გავიგოთ, მით უმეტეს, რომ ნათქვამის ძირითადი არსი არ შეიცვლება, ხოლო სინათლე (განათლების აზრით) არანაკლებად შედის ჩვენს ეროვნულ ინტერესებში.

აი, ერთ-ერთი არჩევანი თავისუფლებასა და სინათლეს შორის — **მაკა ჯაიანი**, 25.08, *ხმაურიანი შინაარსის მშვიდი აქცია*: საქმე სახელმწიფო მუზეუმში დაცული ანჩისხატის ეკლესიისადმი გადაცემას ეხება. თავს უფლებას მივცემ, ეჭვი შევიტანო ამ ინიციატივის სამრევლო წარმოშობაში — მას, როგორც ეტყობა, უფრო ღრმა და მაღალი ფესვები აქვს. ჩვენ ვიცით (ამას მიღებული განათლება გვეუბნება), რომ ხელოვნების ნიმუშები სათანადოდ უნდა იყოს დაცული. მაგრამ მრევლის თავისუფალი აზრი სხვანაირია: "**ხატი ღმერთმა შექმნა იმისთვის, რომ მასზე ილოცო, ესაა მისი ერთადერთი დანიშნულება... როგორ შეიძლება ხატის პატიმრობაში ყოფნა? ხმა ღვთისა, ხმა ერისაო, ხომ გაგიგონიათ? ამბობენ, ანჩისხატს ვერ დაიცავთო, ხატი თავის თავს ყველგან დაიცავს. მრევლში არის ხალხი, რომელიც მის დაცვას ფინანსურადაც უზრუნველყოფს**" — აჰა, დიდხანს ვერ გაძლო თეოლოგიურმა ნაკადმა, მალევე დაიშრიტა და ადგილი ნამდვილ მიზეზს დაუთმო. ეჭვი მეპარება, ფინანსურად შეძლებული ხალხი აწერდეს ხელს მრევლის პეტიციას, მაგრამ ხატის ეკლესიისადმი გადაცემა ხომ კიდევ ერთი საბაბი იქნება შეძლებული ადამიანების დასაბერტყად — აი, კაკალს რომ ბერტყავენ ხოლმე. მგონი, ნამდვილად ღირს ანჩისხატის ეკლესიისადმი გადაცემა: ან მრევლი ილოცებს და მადლით აივსება (ეს თავისთავად სიკეთეა!), ან ბოლოს და ბოლოს სიმართლე გამჟღავნდება და ამისთვის კი ყოველთვის ღირს რისკის ქვეშ დააყენო არტეფაქტი.

განათლების ირგვლივ კი კიდევ ერთი აურზაური ატყდა გასულ კვირას. შორიდან დავიწყოთ: როდესაც საზოგადოებაში გაბატონებულ სიბნელესა და სიბინძურეს ებრძვი, უნდა ეცადო, მისი სიმყრალე არ გადმოგედოს. სამწუხაროა, რომ კეთილი წამოწყებები ჩვენში უბადრუკ განხორციელებას პოულობს და ძიძგილაობაში გადადის (იხ. 29.08, *საპირველსექტემბრო ზავი*): ბოლოს და ბოლოს, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ პირველკლასელთათვის წიგნების დარიგებაზე უფრო დიდი მნიშვნელობა იმას აქვს, ვინ მოაწერს ხელს და სად დარიგდება წიგნები. იძულებული ვარ კვლავაც სახარებას მივმართო: "*ეკრძალენით ქველის საქმესა თქუენსა, რაითა არა ჰყოთ წინაშე კაცთა სახილველად მათა... ხოლო რაჟამს იქმოდე ქველის საქმესა, ნუ ჰქადაგებ წინაშე შენსა, ვითარცა იგი ორგულთა ყვიან შესაკრებელთა მათთა და უბანთა ზედა, რაითა იდიდნენ კაცთაგან*" (მათე, 6, 1-2). იმედია, ჩვენი კეთილისმყოფელები საბოლოოდ არ დაკარგავენ გემოვნებას.

3. "**ჩვენი დაბალი პოლიტიკური კულტურა და საყოველთაო უზნეობა თავს იჩენს არჩევნების დროსაც. თუ არა ეს უზნეობა, არც გაყალბება მოხდება და არც ცუდი ხალხის არჩევა**". აქ კი **თამარ მჭედლიშვილის** სტატია უნდა მოვიგონოთ — *რთული არჩევანი* (28.08). სირთულე ეუთოს ხელმძღვანელობას უდგას წინ. მართლაც რომ თავსატეხი მიიღეს ცესკო-ს თავმჯდომარეობის კანდიდატთა სიის სახით. უნდა დავაფასოთ პლამენ ნიკოლოვის დიპლომატიური უნარი (ალბათ მრავალჯერ ყოფილა ქართულ სუფრაზე!): "**საქართველოს ნამდვილად აქვს იმის პოტენციალი, რომ უფრო მეტი ღირსეული კანდიდატი გამოჩნდეს**". თამარ მჭედლიშვილმა კი 29 აგვისტოს კიდევ უფრო ზუსტი სიტყვა იპოვა — *მწირი არჩევანი*. თანაც ეს სიმწირე რაოდენობით კი არაა გამოწვეული (23 კანდიდატი), არამედ (სათქმელადაც ძნელია!) ხარისხით. როგორც ეტყობა, პირველადი კრიტერიუმები შემდეგნაირად შეიცვალა: *ცესკო-ს თავმჯდომარე უნდა იყოს უცნობი, შეუმჩნეველი პიროვნება, რომელიც მადლიერი დარჩება ასეთი დაფასებისათვის და ყველაფერს მოიმოქმედებს, შემდგომშიც რომ ზედაპირზე იტივტივოს*. აკი თვით სახელმწიფო მინისტრი დაგვპირდა, ამ ქვეყანაში კიდევ ბევრი რამ შეიცვლებაო (ეკა კვესიტაძე, 26.08, *ყველაფერს ისევ ხელისუფლება ცვლის და არა ხალხი*) — ჰოდა, იცვლება კიდეც! არჩევანის ყველაზე დიდი უზნეობა კი ისაა, როცა აშკარა ხდება, რომ გამორჩეული უნარიანი პიროვნებები არავის (არავის-მეთქი!) სჭირდება და ყველა ღონეს ხმარობენ მათი არჩევანიდან გამორიცხვისათვის.

და ყოველივე ამის შემდეგ ედუარდ შევარდნაძე ევროკავშირის წინაშე დმანისში აღმოჩენილ ძვალს აქნევს: "**ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით, თქვენ საერთოდ არ იქნებოდით!**" (**ლელა მჭედლიძე**, 28.08). ბიბლიაში წერია, რომ ისრაელის მოსამართლემ, გმირმა სამსონმა ვირის ყბით ფილისტიმელთა ურიცხვი ლაშქარი ამოჟლიტა. არა მგონია, ეს ბიბლიური მოთხრობა ყოფილიყო ედუარდ-გიორგის შთამაგონებელი, მაგრამ საკუთარ თავს ვეკითხები: ნუთუ გადაშენებული ჰომინიდის ძვალიღა დაგვრჩა ჩვენი ცივილიზებულობის უკანასკნელ არგუმენტად?

# აზნარი დიდ პოლიტიკას ტოვებს



ხოსე მარია აზნარი

დღეს შესაძლოა ესპანეთის ხელისუფლებაში დიდი ცვლილება დაიწყოს. სავარაუდოდ, თანამდებობის დატოვებას და თავისი მემკვიდრის დასახელებას აპირებს ესპანეთის პრემიერ-მინისტრი ხოსე მარია აზნარი. ეპანეთის მთავრობას, შესაძლოა, მისი ამჟამინდელი მოადგილე მარიანო რახოი ჩაუდგეს სათავეში.

აზნარი, უკვე დიდი ხანია, დიდი პოლიტიკიდან წასვლას აპირებს. ის აცხადებდა, რომ პრემიერის პოსტზე თავისი კანდიდატურის წამოყენებას მესამე ვადით აღარ გეგმავს.

თუკი რახოის კანდიდატურას ესპანეთის სახალხო პარტიის ყრილობა მხარს დაუჭერს, ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალი წლის მარტში გამართულ საპარლამენტო არჩევნებში პარტიის სიას სწორედ ის ჩაუდგება სათავეში, ხოლო გამარჯვების შეთხვევაში პრემიერ-მინისტრის სავარძელსაც დაიკავებს.

ხოსე მარია აზნარი ესპანეთის ხელისუფლების სათავეში 1996 წლის მარტში გამართული არჩევნების შედეგად მოვიდა. მისმა გამარჯვებამ ესპანეთში სოციალისტების 13-წლიანი მმართველობა დაასრულა. ამ ხნის მანძილზე კი, ესპანეთის პრემიერის პოსტი სოციალისტთა ლიდერს ფილიპე გონსალესს ეკავა.

2000 წლის მარტში ხოსე მარია აზნარი მეორე ვადით აირჩიეს. მისი მეთაურობით სახალხო პარტიამ პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა, რაც დემოკრატიული ესპანეთის ისტორიაში ერთგვარ რეკორდად იქნა აღიარებული.

ხოსე მარია აზნარი 1953 წელს დაიბადა. მისი ოჯახი მემარჯვენე იდეების ერთგული, აზნარის ბაბუა კი - დიქტატორ ფრანკოს ახლო მეგობარი იყო. პოლიტიკაში აზნარი 25 წლის ასაკში მოვიდა.

პრემიერ-მინისტრობამდე ის საერთაშორისო არენაზე ცნობილი ფიგურა არ ყოფილა.

მან საგარეო პოლიტიკაში აშშ-სთან და დიდ ბრიტანეთთან მჭიდრო თანამშრომლობის კურსი აირჩია. აზნარის პოპულარობამ მკვეთრად დაიკლო, როდესაც მან მხარი დაუჭირა ვაშინგტონის საომარ პოლიტიკას ერაყში და ესპანეთი ანტისადამური კოალიციის ერთ-ერთ ძირითად წევრად აქცია.

# „ჩვენ ჰაკიმის მკვლელების სისხლი გვინდა!"

პირველი გვერდიდან

როგორც საერთაშორისო სააგენტოები ერაყიდან იუწყებიან, ოთხივე ეჭვმიტანილმა ნაჯაფში მომხდარ აფეთქებაში მონაწილეობა აღიარა. მათ ასევე განაცხადეს, რომ აქტიურად იყვნენ ჩართულები ისეთ აქციებში, რომელთა მიზანსაც ერაყში ვითარების უკიდურესად დაძაბვა წარმოადგენდა.

პარალელურად, ერაყელი შიიტები ქუჩებში გამოსვლებს არ წყვეტენ და დაღუპული აიათოლას მომხრეებს შურისძიებისაკენ მოუწოდებენ. **"ჩვენ ჰაკიმის მკვლელების სისხლი გვინდა!"** – ასეთი შეძახილებით გამოდიან შიიტები ქალაქ ნაჯაფში. შიიტების მასობრივი დემონსტრაციები იმართება სხვა ქალაქებშიც. ერაყის სამხრეთში მდებარე ქალაქ ბასრაში ქუჩაში ხუთი ათასზე მეტი ადამიანი გამოვიდა და შიიტი აიათოლას მკვლელობის გამო თავისი პროტესტი გამოხატა.

ნაჯაფში იმამ ალის მეჩეთთან, სადაც აფეთქება მოხდა, ათასობით ადამიანი მიდის, რათა დაღუპულთა შორის თავიანთი ახლობლები ამოიცნონ. როგორც იუწყებიან, აფეთქების შედეგად დაღუპულთა ცხედრებს შიიტები ქალაქის ქუჩებში დაატარებენ და თანამოძმეებს შურისძიებისაკენ მოუწოდებენ. მასმედიის საშუალებები ერაყიდან იტყობინებიან, რომ შიიტთა პროტესტი მიმართულია როგორც სადამის მომხრეების, ასევე ერაყში აშშ-ს ჯარებისაკენ. ისინი აფეთქების მოწყობაში სადამის მომხრეებს დებენ ბრალს და, ამავე დროს, ამერიკელებს ადანაშაულებენ, რადგან მათ ამ ტერაქტის აღკვეთა ვერ მოახერხეს.







ნაჯაფში იმამ ალის მეჩეთთან, სადაც აფეთქება მოხდა, ათასობით ადამიანი შეიკრიბა.

ერაყის პარალელურად, სამდღიანი გლოვა გამოცხადდა ირანშიც, სადაც აიათოლა ჰაკიმმა ოცი წელი გაატარა. ის ამ ხნის განმავლობაში ერაყში სადამის რეჟიმს ირანის ტერიტორიიდან ებრძოდა. ჰაკიმი ერაყში ისლამური რევოლუციის უმაღლეს საბჭოს ედგა სათავეში, რომელსაც თეირანი ოფიციალურ მხარდაჭერას უცხადებდა და ფინანსურად ეხმარებოდა კიდეც.

უკვე გაირკვა, რომ მეჩეთთან მდგარ ავტომანქანაში ჩამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობა იმ დროს ამოქმედდა, როდესაც აიათოლა თავის მანქანაში ჯდებოდა.

ეს ერაყში მესამე უძლიერესი აფეთქება იყო. დაახლოებით ერთი კვირის წინ, ბაღდადში გაერო-ს შტაბ-ბინა აფეთქდა, რასაც თავად გაერო-ს მისიის ხელმძღვანელის სიცოცხლე შეეწირა.

ეს ყველაფერი კი ცხადად მიუთითებს იმაზე, რომ აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის სამხედრო ძალები ვითარებას ვერ უმკლავდებიან. სწორედ ამიტომ, ვაშინგტონმა და დიდმა ბრიტანეთმა გაერო-ს უშიშროების საბჭოში წარსადგენად მოამზადეს რეზოლუციის პროექტი, რომლის თანახმადაც ერაყში სტაბილურობის დამყარებაში მონაწილე ქვეყანათა რიცხვი უნდა გაიზარდოს. როგორც ცნობილია, ადრე ვაშინგტონი მკაფიოდ აცხადებდა, რომ სხვა ქვეყნების სამხედრო ძალებს მხოლოდ კოალიციასთან შეერთება შეეძლოთ, რომელსაც აშშ ედგა სათავეში.

როგორც ჩანს, თეთრ სახლს ამიერიდან გარისკვა აღარ სურს და ერაყში არსებულ ვითარებაზე პასუხისმგებლობის სხვა ქვეყნებისათვის განაწილებას ისახავს მიზნად.

გუშინ, ამასთან დაკავშირებით, ოფიციალური რუსეთის პოზიციაც ცნობილი გახდა. პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის განცხადებით, მოსკოვი დათანხმდება ერაყში საერთაშორისო ძალების განლაგებას, თუკი ეს გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ იქნება სანქცირებული.

# ჩაძირულ წყალქვეშა ნავს რუსეთი საკუთარი ძალებით ვერ ამოიყვანს

რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლობამ განაცხადა, რომ პარასკევს ბარენცის ზღვაში ჩაძირულ წყალქვეშა ნავს კ-159 აუცილებლად ამოიყვანენ ზღვის ზედაპირზე.

როგორც ცნობილია, წყალქვეშა ნავი შაბათს გამთენიისას ჩაიძირა. მის ბორტზე ეკიპაჟის ათი წევრი იმყოფებოდა, რომელთაგან მხოლოდ ერთმა მოახერხა გადარჩენა. სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარი შტაბის ხელმძღვანელის ვიქტორ კრავჩენკოს განცხადებით, ეკიპაჟის დანარჩენი წევრების გადარჩენის შანსები ძალზე მცირეა. **"ჩვენ წყალქვეშა ნავის ამოყვანის რამდენიმე ვარიანტს განვიხილავთ. მას აუცილებლად ამივიყვანთ,"** - განაცხადა კრავჩენკომ.

უნდა ითქვას, რომ მის ოპტიმიზმს ბევრი არ იზიარებს. რუსეთის სამხედრო ექსპერტების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ასეთ რთულ ამოცანას რუსეთი საკუთარი ძალებით ვერ შეასრულებს. გარდა ამისა, ექსპერტები ფიქრობენ, რომ წყალქვეშა ნავის ამოყვანას წყლის ზედაპირზე რამდენიმე თვე მაინც დასჭირდება.



წყალქვეშა ნავი კ-159

წყალქვეშა ნავი 30 აგვისტოს, მოსკოვის დროით დილის ოთხ საათზე დაიღუპა. ის კილდინის კუნძულიდან სამი მილის დაშორებით 170 მეტრის სიღრმეშია ჩაძირული.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს პრეს-ცენტრის განცხადებით, წყალქვეშა ნავზე არსებული ბირთვული რეაქტორი უსაფრთხო მდგომარეობაშია მოყვანილი, ხოლო რაკეტები გადმოტვირთულია.

ამჟამად სამაშველო–საძიებო სამუშაოები გრძელდება. ტრაგედიის რაიონში ორი სამაშველო ხომალდი და ორი თვითმფრინავი იმყოფება. დღეს მათ კიდევ ორი საზღვაო ხომალდი შეუერთდებათ.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც უტილიზაციის ადგილას წყალქვეშა ნავის ნაპირზე გამოყვანას გაწევით ცდილობდნენ. წყალქვეშა ნავი ექსპლუატაციიდან ჯერ კიდევ 1989 წელს იყო გამოყვანილი. გაწევის დროს ზღვაზე შტორმი ამოვარდა, რამაც გამწევი საშუალებები მოგლიჯა. ნავმა მართვა დაკარგა და ჩაიძირა.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ კ-159-ის ჩაძირვის ფაქტი დეტალურად იქნება გამოძიებული. გენერალურმა პროკურატურამ მომხდართან დაკავშირებით უკვე სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

# პრეზიდენტის „ცხოვრების პროექტი" - სატყუარა თუ შირმა გარიგებებისთვის

პირველი გვერდიდან

ორი წლის წინათ, ხუდონის მშენებლობის დასრულებაზე საგულდაგულო შესწავლის შემდეგ უარი თქვა უმსხვილესმა იაპონურმა კომპანიამ. ასევე ფაქტია, რომ არც თავად ხელისუფლების რჩეული "რაო ეესი" ჩქარობს ამ პროექტისთვის ხელის მოკიდებას. ხუმრობა ხომ არ არის, 600 მილიონი დოლარის ინვესტირება, მით უმეტეს, რომ რუსეთი საქართველოში ყველაფრის იაფად და დიდი ჯაფის გარეშე მიღებას არის ნაჩვევი. საერთოდ კი, ჩნდება ეჭვი, რომ ხუდონჰესის მშენებლობის ბოლომდე მიყვანა არც არავის სურს და ამ პროექტზე საუბრის განახლება "კეთილი", საქართველოს ენერგეტიკაზე მზრუნველი რუსეთის შესახებ მორიგი მითის შესაქმნელად არის გამიზნული.

## უკვალოდ გამქრალი იაპონელები

არაშენებული ქართული ენერგოგიგანტით 2001 წელს იაპონიის ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია "Electric Power Development Company" (EPDC) დაინტერესდა. ამ კომპანიის აქციათა 66 პროცენტი იაპონიის ფინანსთა სამინისტროს, ხოლო დანარჩენი – ქვეყნის ცხრა მსხვილ ენერგოკომპანიას ეკუთვნის. EPDC-ის ეკუთვნის იაპონიის ჰესების უმეტესობა. 2001 წლისთვის კომპანიის მიერ დასახული სტრატეგიით EPDC-ის სოლიდური შემოსავლების უცხოეთის ქვეყნებში დაბანდებაზე აქცენტის გადატანა განისაზღვრა. იმდენად, რამდენადაც იაპონიაში ჰესები აღარ შენდება, კომპანიამ შესაფერისი პროექტების ძიება ე. წ. "მსოფლიოს მესამე ქვეყნებში" დაიწყო. საქართველოში ჩამოსული EPDC-ის დელეგაცია, კომპანიის შესაძლებლობებიდან და პროფილიდან გამომდინარე (იაპონიაში, ძირითადად მთის მდინარეებზეა კაშხლები აგებული), ხუდონის დაუმთავრებელი ჰესით დაინტერესდა. EPDC-იმ საქართველოში ორი დელეგაცია მოავლინა. პირველმა ხუდონზე არსებული მდგომარეობა შეისწავლა. აღმოჩნდა, რომ მშენებლობის დიდი ნაწილი უკვე დასრულებულია. თუმცა, იაპონელების შეფასებით, დარჩენილი სამუშაოებისთვის, დაახლოებით 1.4 მილიარდი დოლარია საჭირო. როგორც საქმეში ჩახედულები ამბობენ, მაშინ ქართულმა მხარემ "ქართულად, ქართული ფასებით" უანგარიშა ყველა მოსალოდნელი ხარჯი იაპონელებს და ეს თანხა 600 მილიონ დოლარამდე ჩამოვიდა.

იაპონელთა დელეგაცია მაშინდელ სახელმწიფო მინისტრს გია არსენიშვილს, სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს თედო ისაკაძეს, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს დავით მირცხულავას და ამჟამინდელ მინისტრს მამუკა ნიკოლაიშვილს (მაშინ იგი ენერგოგენერაციას ხელმძღვანელობდა) შეხვდნენ. ეს ოფიციალური მხარე პრეზიდენტ შევარდნაძესთან შეხვედრით დასრულდა, რომელზეც პრეზიდენტმა ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას თავისი "სიცოცხლის პროექტი" უწოდა და EPDC-ის ყველანაირი მხარდაჭერა აღუთქვა.

მიუხედავად ამისა, მეორე დელეგაცია, რომელიც მომავალი პროექტის ფინანსურ-ეკონომიკურ მხარეებს აფასებდა, რამდენიმე შეხვედრის გამართვის შემდეგ, საქართველოდან გაემგზავრა და ქართულ მხარეს აღარც შეხმიანებია. ცხადია, ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ იაპონურმა კომპანიამ ხუდონის მშენებლობის დასრულება არამიმზიდველ პროექტად მიიჩნია, მაგრამ თავისი შეფასებები ქართული მხარისთვის არ მოუწოდებია. ქართველ მაღალჩინოსანთა ვარაუდით, იაპონელები საქართველოში არსებულმა ტარიფმა, საკანონმდებლო ბაზამ და გადამცემი ხაზების ინფრასტრუქტურის მდგომარეობამ ვერ მოხიბლა.

## იაპონელთა გეგმები და რა ურჩია სქოულმა EPDC-ის

დღეს ის ადამიანები, ვინც იაპონური კომპანიის გეგმების შესახებ ინფორმირებულნი იყვნენ, იხსენებენ, რომ იაპონელები ხუდონის მშენებლობის დასრულების შემდეგ იქ გამომუშავებული ელექტროენერგიის თურქეთში ექსპორტირებას გეგმავდნენ, მაგრამ იმ ეტაპზე უცნობი იყო, მიღებული შემოსავლებიდან რა წილი ერგებოდა იაპონურ და რა – ქართულ მხარეებს. გარდა ამისა, ხუდონჰესის მწყობრში ჩადგომით ირიბ, მაგრამ მნიშვნელოვან სარგებელს მიიღებდა ენგურჰესი და მთლიანად, საქართველოს ენერგოსისტემა. საქმე ის არის, რომ ხუდონჰესის კაშხალზე დაგროვილი წყალი, დაცლის შემდეგ, ენგურჰესის აუზს აავსებდა, რაც ამ უკანასკნელის მიერ ელექტროენერგიის გამომუშავებას, თითქმის ორჯერ გაზრდიდა. გარდა ამისა, ხუდონის პროექტის "დანამატად" EPDC საქართველოს უსასყიდლოდ აუშენებდა 20-30 მეგავატიან ჰესს ნებისმიერ რეგიონში, რომელსაც თავად ქართული მხარე მიუთითებდა (მაშინ, გია არსენიშვილის პროტექციით, ასეთ მხარედ კახეთი შეირჩა, თუმცა ეს გეგმა, მოგვიანებით იაპონურის ნაცვლად, ჩინურმა კომპანიამ განახორციელა, რომელიც ხადორჰესს აშენებს).

იმ ადამიანთა წრე, რომელიც მაშინ EPDC-თან მოლაპარაკებებს ესწრებოდა, საკმაოდ ვიწროა. ისინი იაპონელების "გაუჩინარების" მიზეზებს სხვადასხვანაირად ხსნიან. მაგალითად, სახელმწიფო მინისტრის მოადგილის თედო ისაკაძის განცხადებით, EPDC-ის წინასწარი გათვლებით, ხუდონის მშენებლობაში ჩადებული ინვესტიციების და სხვა ხარჯების გათვალისწინებით, ხუდონჰესზე გამომუშავებული ერთი კილოვატი ელექტროენერგიის თვითღირებულება ოთხ ცენტს აჭარბებდა. ეს კი, იაპონელთათვის, პრაქტიკულად უპერსპექტივოს ხდიდა ხუდონის პროექტს. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მამუკა ნიკოლაიშვილის ინფორმაციით კი, იაპონურმა კომპანიამ საჭირო მონაცემების მიღების შემდეგ, უბრალოდ, დაინტერესება აღარ გამოხატა

თუმცა, ხუდონის პროექტის არაარენტაბელურობის გარდა, არსებობს კიდევ ერთი, არაოფიციალური ვერსია იმისა, თუ რატომ თქვა უარი იაპონურმა გიგანტმა ქართულ პროექტზე. EPDC-ის მეორე დელეგაცია, არსებული გამოცდილების გასაცნობად საქართველოს ენერგოსექტორში იმ დროისთვის უმსხვილესი ინვესტორის, ამერიკული კომპანია "ეი-ი-ესის" წარმომადგენელს მაიკლ სქოულს შეხვდა. ასევე არაოფიციალური ინფორმაციით, სქოულმა არც თუ სახარბიელოდ დაუხატა საქართველოს ენერგოსფეროში არსებული მდგომარეობა (შეხვედრაზე თქმულა, რომ ქართული მხარე ხშირად არღვევს პირობებსა და კანონებს) და რჩევაც მისცა, ამ ხათაბალაში თავს ნუ ჩაიგდებთო. ამის თქმის საფუძველს კი, ამერიკულ კომპანიას ნამდვილად აძლევდა თავისი მწარე გამოცდილება, რაც საბოლოოდ იმით დაგვირგვინდა, რომ მან ქართული აქტივები რუსულ "რაო ეესს" მიჰყიდა.

## იაპონური ვერსია

იმის გასარკვევად, თუ რა მოხდა სინამდვილეში და რის გამო აიცრუა გული EPDC-იმ ხუდონის პროექტზე, "24 საათი" იაპონურ კომპანიას (ამ ორი წლის განმავლობაში მან სახელწოდება JPower-ით შეიცვალა) ტოკიოში დაუკავშირდა. საქართველოში ჩამოსული დელეგაციების ხელმძღვანელმა მასააკი ნაგაიმ მისი კომპანიის მიერ ხუდონის პროექტზე უარის თქმის უმთავრეს მიზეზად პროექტის ეკომონიკური გაუმართლებლობა დაასახელა. ნაგაის თქმით, ხუდონის პროექტის განხორციელებისთვის უმთავრესი ინვესტიციების მოზიდვის საკითხია, რაც საქართველოს საკმაოდ გაუჭირდება. **"ხუდონის პროექტი საქართველოსთვის, მით უმეტეს მისი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ძალიან მასშტაბურია. ამჟამად ჩვენ აღარ განვიხილავთ ამ პროექტში მონაწილეობის საკითხს, რადგან მას ძალიან სერიოზული ინვესტიციები სჭირდება",** - მოსწერა "24 საათს" მასააკი ნაგაიმ. მანვე დასძინა, რომ კომპანიის გადაწყვეტილებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქართველოში მეტისმეტად არამიმზიდველი ბიზნეს-გარემოს არსებობამაც, რაც ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრებზე იაპონურმა მხარემ დააფიქსირა.

ფაქტია, რომ, თუ ხუდონჰესი საბჭოთა გეგმიურ ეკონომიკაში კარგად ეწერებოდა, საბაზრო ეკონომიკამ, რომელშიც იაპონელები უდავოდ დიდი ექსპერტები არიან, საქართველოში ასეთი ენერგოგიგანტის მშენებლობას გამრთლება ვერ მოუძებნა. მით უმეტეს, რომ მაშინ საქართველოს ხელისუფლებას დაინტერესებული კომპანიისთვის მხარდაჭერის აღმოჩენის სურვილი არ გამოუხატავს – იაპონელებისადმი მისი მხარდაჭერა, მხოლოდ მათი სვანეთში უსაფრთხო მგზავრობის უზრუნველყოფით ამოიწურა.

## იაპონიიდან რუსეთისკენ

იაპონელებთან უშედეგოდ დასრულებული მოლაპარაკებებისა და ორწლიანი პაუზის შემდეგ, ხელისუფლება ხუდონჰესს იხსენებს და მისთვის ინვესტორს უკვე ტრადიციული მიმართულებით, ჩრდილოეთით ეძებს. ცხადია, საუბარია "რაო ეესზე", რომელმაც უკვე მიიღო "ეი-ი-ესის" ქართული აქტივები და ახლა თვალი ქართული ენერგეტიკის ყველაზე მსუყე ლუკმაზე – ენგურჰესზეც უჭირავს. ამავე დროს, პრეზიდენტების - პუტინისა და შევარდნაძის მიერ სოჭში ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად, "რაომ" უნდა მიხედოს დაკონსერვებულ ხუდონჰესსაც.

მიუხედავად ქართული მხარის სურვილისა და დაპირებებისა, "რაო ეესის" ხუდონის პროექტით დაინტერესება საკმაოდ გაჭირდა – იგი, ჯერჯერობით, ხუდონჰესის სეისმომედეგობის ქართული მხარის მიერ მომზადებულ პროექტს სწავლობს. **"600 მილიონი დოლარის მოძიება ადვილი არ არის. ჩვენ მხოლოდ "რაო ეესზე" არ ვართ ორიენტირებულნი, შესაძლოა ეს პროექტი კომპანიათა კონსორციუმმა განახორციელოს. მაგალითად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) ხუდონის მიმართ გარკვეული დაინტერესება უკვე გამოხატა",** - განაცხადა მამუკა ნიკოლაიშვილმა. ამავე დროს, მინისტრი გამორიცხავს, რომ ხუდონჰესის მშენებლობის პროექტი რაიმე ეკოლოგიური საფრთხის შემცველი იყოს, რადგან, მისი თქმით, თანამედროვე პროექტები ეკოლოგიისა და გარემოზე ზემოქმედების ფაქტორების გათვალისწინებით დგება.

მაგრამ, ხუდონჰესის პროექტის განახლებას ხელისუფლების მორიგ ბლეფად მიიჩნევს პარლამენტის ენერგეტიკული კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩუბინიშვილი. მისი თქმით, გამორიცხულია, რომ "რაო ესმა" ხუდონჰესში 600 მილიონი დოლარი დააბანდოს. **"რამენაირად ხომ უნდა გაამართლონ რუსეთისთვის ქართული ენერგეტიკის მიყიდვა, ჰოდა ამბობენ, აი, რუსეთი სამაგიეროდ ხუდონს აგვიშენებსო",** - აცხადებს ჩუბინიშვილი. იმას, რომ ხუდონის პროექტის ყველაზე მტკივნეულ ეკოლოგიურ საკითხზეც არავინ საუბრობს, კომისიის თავმჯდომარე იმით ხსნის, რომ ამ პროექტით რეალურად მართლაც არავინ დაინტერესებულა. **"დაინტერესება რეალურად რომ არსებობდეს, საქმეში ჰიდროინჟინრები და გეოლოგები ჩაერთვებოდნენ და გარემოზე ზემოქმედების შესახებაც დაიწყებოდა საუბარი",** - მიიჩნევს ჩუბინიშვილი.

## ექსპერტის აზრი

ხუდონჰესის აშენებას აუცილებლობად მიიჩნევს ექსპერტი სანდრო თვალჭრელიძე. მისი განცხადებით, ხუდონი ენგურჰესის მთელი სიმძლავრით ამუშავებისთვის არის აუცილებელი. **"ენგურჰესისნაირი გიგანტი საქართველოში არ უნდა აშენებულიყო, მაგრამ, რადგან აშენდა, ხუდონის გარეშე მას აზრი არ აქვს. ხუდონის არარსებობის გამო, ენგურჰესი თავისი სიმძლავრის, დაახოლებით 30 პროცენტით მუშაობს",** - მიაჩნია თვალჭრელიძეს. იგი იზიარებს უცხოელი ექსპერტების აზრს, რომ საქართველოში გიგანტი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა გაუმართლებელია და ქვეყანამ ორიენტაცია საშუალო და მცირე ჰესებზე უნდა აიღოს. მისი ინფორმაციით, ქვეყნის ჰიდრორესურსების მხოლოდ 23 პროცენტია გამოსადეგი დიდი, ანუ 50 მეგავატზე მეტი სიმძლავრის ჰესების ასაგებად, დანარჩენი კი – მცირე და საშუალო ჰესებისთვის არის შესაფერისი. თვალჭრელიძის თქმით, არსებობდა პროექტიც, რომლის თანახმადაც, საქართველოში 63 მცირე და საშუალო ჰესი უნდა აშენებულიყო და ამ პროექტში ინვესტირება გაცილებით მომგებიანი იქნებოდა ქვეყნისთვის. **"ახლა, ან ხუდონი უნდა აშენდეს, ან ატომური ელექტროსადგური, რათა საქართველომ ენერგეტიკული უსაფრთხოება უზრუნველყოს",** - მიაჩნია თვალჭრელიძეს. ამასთან, იგი პრაქტიკულად გამორიცხავს ხუდონჰესის მშენებლობის გარემოზე არასასურველ გავლენას, თუ პროექტი მსოფლიო სტანდარტების დაცვით განხორციელდება.

თვალჭრელიძის აზრით, ხუდონჰესი რუსეთისთვის ოთხი მიზეზის გამო შეიძლება იყოს საინტერესო. პირველი მიზეზი ის არის, რომ რუსეთი, აშშ-სთან ერთად, ევრაზიის ერთიანი ენერგოსისტემის შექმნაზე მუშაობს და იგი ამ გლობალურ პროცესში თავისი ინტერესების დაკმაყოფილებას ცდილობს. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი რუსეთის თურქეთის ენერგობაზრისადმი ინტერესია, რომელზეც ხუდონზე გამომუშავებულ ელექტროენერგიას სიამოვნებით გაყიდის. გარდა ამისა, ხუდონის ელექტროენერგია რუსეთმა ზაფხულობით, შესაძლოა, თავად მოიხმაროს, ზამთარში კი პირიქით – საქართველოში აწარმოოს თავის თბოელექტროსადგურებზე გამომუშავებული დენის იმპორტი. მეოთხე მიზეზი, რომელსაც თვალჭრელიძე რუსეთის, უფრო კონკრეტულად კი, უშუალოდ "რაო ეესის" დაინტერესების განმაპირობებლად ასახელებს, ამ კომპანიის ხელმძღვანელის, ანატოლი ჩუბაისის საპრეზიდენტო ამბიციებს უკავშირდება. თვალჭრელიძის თქმით, ცხადია, რომ ჩუბაისი ოთხი წლის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტობას გეგმავს, რისთვისაც მის ხელთ არსებული რესურსების კაპიტალიზაცია ანუ, ქვეყნისთვის მიღწეული შედეგების დანახვება სჭირდება.

## დასკვნა

იმას, რომ ჩუბაისი საქართველოში რუსეთისთვის მეტად ხელსაყრელ საქმეს აკეთებს, ოთხი წლის გასვლა არ სჭირდება, დღესვე თვალნათელია და ამას, ალბათ, რუსი ხალხი სათანადოდ დააფასებს. ამ მიზნის მიღწევისთვის კი, ხუდონჰესის საეჭვო პროექტში ასეულობით მილიონი დოლარის "ჩაყრა" საჭირო აღარაა – ჩუბაისის რესურსები უკვე კაპიტალიზებულია უმაღლესი ხარისხის ქართულ ენერგოაქტივებში.

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** გავრცელდა ინფორმაციები იმის შესახებ, რომ კლოდ მაკელელეს ნაცვლად, შესაძლოა, მადრიდის "რეალმა" "იუვენტუსის" ჰოლანდიელი ნახევარმცველი, ედგარ დავიდსი შეიძინოს. "იუვენტუსმა" გუშინ ჩაატარა თავისი პირველი მატჩი იტალიის წლევანდელ ჩემპიონატში, მაგრამ დავიდსს "ბებერი ქალბატონის" შემადგენლობაში არ უთამაშია. ჰოლანდიელს არც ტრავმა არ აწუხებს და არც რაიმე სხვა პრობლემა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე დღეა, ის არ ვარჯიშობს გუნდთან ერთად. ამ გარემოებათა გამო ჟურნალისტები ეჭვობენ, რომ დავიდსი მადრიდის "რეალთან" აწარმოებს მოლაპარაკებებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მადრიდის "რეალმა", როგორც იქნა, შეძლო ფერნანდო მორიენტესის გასხვისება. მართალია, ეს იჯარით მოხდა, მაგრამ სამეფო კლუბისთვის მთავარი ის იყო, რომ სათადარიგოთა სკამზე მჯდომი ფეხბურთელისთვის ხელფასი არ ეხადა. მორიენტესის მომავალი კლუბი "მონაკო" იქნება. ფრანგულმა კლუბმა ესპანელის ყიდვა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც შაბანი ნონდამ მძიმე ტრავმა მიიღო და კლუბი ორი თავდამსხმელის ამარა დარჩა. თავდაპირველად ფორვარდის შეძენით "შალკე" იყო დაინტერესებული, მაგრამ კლუბი და ფეხბურთელი ხელფასზე ვერ შეთანხმდნენ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიური "ლაციო" დათანხმდა, ნახევარმცველი დინო ბაჯო იჯარით გაეშვა "ბლექბერნში". ინგლისელთა მწვრთნელს გრემ სუნესს ადრეც უნდოდა ბაჯოს გადაბირება, მაგრამ მიზანს მხოლოდ ახლა მიაღწია.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიურმა "ინტერმა" უმალ იპოვა ერნან კრესპოს შემცვლელი. სრულფასოვანი იქნება ეს შეცვლა თუ არა, მომავალი სეზონი გვიჩვენებს. პიროვნება კი, რომელსაც ასეთი მისია ეკისრება, კრესპოს თანამემამულე, მანამდე "ბოლონიაში" მოთამაშე ხულიო კრუსია.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბრაზილიის ნაკრები კვლავაც მსოფლიო ჩემპიონია, ამჯერად 17 წლამდე ფეხბურთელთა შორის. მსოფლიო ჩემპიონატი გუშინწინ დასრულდა. ფინალში ბრაზილიელებმა 1:0 დაამარცხეს ესპანელები. მესამე ადგილი ერგო არგენტინის ნაკრებს, რომელმაც პენალტების სერიაში კოლუმბიის ეროვნული გუნდი დაამარცხა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიურმა "რომამ" მზადყოფნა გამოთქვა, იჯარით აიყვანოს "ვალენსიას" თავდამსხმელი იონ კარეუ. ჯერჯერობით უცნობია, თუ კონკრეტულად რა წინადადებით მიმართეს იტალიელებმა ესპანელებს, მაგრამ "ვალენსიას" პრეზიდენტის განცხადებით, ასეთ წინადადებაზე უარის თქმა წარმოუდგენლად ძნელია.

■ ■ ■

**კალათბურთი.** ამერიკამ და კანადამ ათენის 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. შესარჩევი ტურნირის ნახევარფინალში ამერიკელებმა პურტო რიკოს სძლიეს – 87:71, არგენტინელებმა კი კანადას – 88:72. მესამე საგზურს პუერტო რიკო და კანადა შეეცილებიან ერთმანეთს.

■ ■ ■

***კრივი.*** მცირე შესვენების შემდეგ უკრაინელმა მოკრივემ ვლადიმირ კლიჩკომ კვლავ მოიპოვა მსოფლიო ჩემიონის ტიტული – ამჯერად WBA ვერსიით. საამისოდ მას შაბათ საღამოს, მიუნხენში გამართულ ბრძოლაში, არგენტინელი ფაბიო მოლის დამარცხება მოუხდა. იმას, რაც რინგზე დატრიალდა, პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ბრძოლა – პირველი რაუნდის მეორე წუთზე კლიჩკომ მეტოქე ნოკაუტში ჩააგდო.

## რაგბი

# ეროვნული სენსაციურად დაიწყო

### რა იქნება შემდეგში?

პაატა თოთაძე

ვინ იფიქრებდა, თუ საქართველოს ჩემპიონატი ასე დაიწყებოდა – პირველი ტურის ორ მატჩში ვერც ერთმა ფავორიტმა ვერ გაიმარჯვა. ჩემპიონატის პირველ მატჩში ბათუმში ქვეყნის ჩემპიონმა "დათვებმა" "აკადემია – იმედი-L"-ს უმასპინძლა. გასაკვირია, მაგრამ ბათუმელებმა ვერ მოახერხეს სტუმართა ძლევა და ფრეს დასჯერდნენ – 15:15. მასპინძელთაგან უკლებლივ ყველა ქულა კახა მაჩიტიძემ მოიპოვა. სტუმართა შორის ასეთი კახა უჩავა აღმოჩნდა. ორივე მათგანმა ხუთ-ხუთი საჯარიმო ზუსტად შეასრულა.

თბილისში წლევანდელ სეზონში თასის მფლობელი "ლოკომოტივი" და "ყოჩები" თამაშობდნენ. წყვილში ფავორიტმა ვერც ამ შეხვედრაში მოახერხა გამარჯვება. გამარჯვებას ვინ ჩივის, რკინიგზელები სულაც უქულოდ დარჩნენ – 10:11 დამარცხდნენ.

მატჩი "ლოკომოტივის" შეტევებით დაიწყო და პირველი



"ლოკომოტივმა" ჩემპიონატი გამარჯვებით დაიწყო.

ტაიმის მე-10 წუთისთვის დათუნაშვილმა ლელოც გაიტანა. ამას ხაჩირაშვილმა გარდასახვა მიუმატა და - 7:0. ამის შემდეგ მოედანზე მდგომარეობა გარკვეულწილად შეიცვალა. ვერ ვიტყვით, რომ "ყოჩები" აშკარა უპირატესობას დაეუფლნენ, მაგრამ გუნდმა თამაშის ხარისხი საგრძნობლად გააუმჯობესა, რასაც შედეგად მოყვა ის, რომ შესვენებამდე "ყოჩებს", სულ ცოტა, ერთი ლელოს (ბოლო მომენტში ჯაბა მალაღურაძეს გაუვარდა ბურთი ხელიდან) და სამი საჯარიმოს გატანა მართებდათ, მაგრამ მხოლოდ ერთი საჯარიმოთი მოპოვებულ სამ ქულას დასჯერდნენ.

მატჩის სურათი არც მეორე ტაიმში შეცვლილა. შესუსტებული შემადგენლობით მოთამაშე "ლოკომოტივი" არაფრით ჰგავდა იმ გუნდს, რომელსაც შეეძლო თასის ფინალში "დათვები" დაემარცხებინა – მორაგბეებმა უამრავი ელემენტარული შეცდომა დაუშვეს. ამასთან, ახალგაზრდა "ყოჩები" სახელიან მეტოქესთან ჭიდილში თავს არ ზოგავდნენ. არ შეიძლებოდა, ამას შედეგი არ გამოეღო, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, რკინიგზელები ზუსტად შესრულებული საჯარიმოთი კიდევ უფრო დაწინაურდნენ.

სოხაძის მიერ გატანილ ლელომდე, რომელიც, სხვათა შორის, ჩინებული შეტევის დაგვირგვინება იყო, "ყოჩებს" კიდევ ერთხელ შეეძლოთ მეტოქის დალელოვება, მაგრამ ისევე როგორც პირველ ტაიმში, ამჯერადაც გადამწყვეტ მომენტში შეცდნენ. მატჩის მიწურულს რკინიგზელებმა ანგარიშის შეცვლა მოინდომეს, მაგრამ ისევ და ისევ საკუთარი შეცდომების გამო სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს.

გუშინ პირველი ტურის ბოლო მატჩი გაიმართა. თბილისში "ლელო-ორბელმა" ბათუმელთა მეორე გუნდს, "დათვები 2"-ს უმასპინძლა.

## მძლეოსნობა

# ისტორია და ამერიკული სკანდალი

გიგა გურასაშვილი

სპორტის დედოფალი, რომელმაც საკუთარი სამწყსო პარიზის "სტად დე ფრანსზე" შემოიკრიბა, თავშესაქცევად თუ სასეიროდ საამოა, მაგრამ თუ წმინდა სპორტულ შედეგებზე მიდგა საქმე, ამ მხრივ მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი დიდი ვერაფერი ბედენაა. ორად ორი მსოფლიო რეკორდი დაემხო და ისიც 20 და 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში, ანუ ნაკლებად პოპულარულ დისციპლინებში. ერთი მხრივ, ამგვარი მიღწევები იმისთვისაა, რომ იგი იშვიათად დაემხოს - სხვაგვარად კანონზომიერება დაირღვეოდა. თუმცა, ეს სხვა საკითხია. თემას რომ არ გადავუხვიოთ, ისევ სარბენ ბილიკებს დავუბრუნდეთ.

მსოფლიო ჩემპიონატის მეშვიდე და მერვე დღეს ცხრა ფინალური ასპარეზობა გაიმართა. თითოეული მათგანი, რა თქმა უნდა, ყურადღების ღირსია, მაგრამ მხოლოდ იმაზე გავამახვილოთ ყურადღება, რომელიც, ალბათ, უფრო საინტერესოა. უჩვეულო გამოდგა 200 მეტრზე ვაჟთა ფინალური გარბენი. ყოველ შემთხვევაში, იაპონელ სპრინტერს შინგო სუეტსუგუს არავინ უწინასწარმეტყველებდა იმას, რომ ისტორიაში შევიდოდა. მართალია, მას რეკორდი არ დაუმყარებია და არც ჩემპიონის რანგში გადაუკვეთავს ფინიშის ხაზი, მაგრამ ის, რაც გააკეთა, საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ყურადღების ცენტრში მოქცეულიყო. თუმცა, როდესაც ელექტროტაბლოზე მესამე შედეგის მქონე სპორტსმენის გასწვრივ საკუთარ გვარსა და სახელს კითხულობდა, თავადაც დიდხანს არ უჯერებდა თვალებს. და მაინც, რა უნდა იყოს სასახელო იმაში, რომ იაპონელმა მესამე ადგილი დაიკავა. საქმე ისაა, რომ 200 მეტრზე ბრინჯაოს მედლის დაუფლებით სუეტსუგუ პირველი აზიელი სპრინტერი გახდა, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატებისა და ოლიმპიური თამაშების ისტორიაში კვარცხლბეკზე ასვლა დაიმსახურა. ერთი სიტყვით, თანამედროვე სამძლეოსნო ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ აღმოსავლეთის მკვიდრს მსოფლიო სარბიელზე რაიმე წარ-



ალენ ჯონსონს მეოთხე ტიტულში ვერავინ შეეცილა.

REUTERS

მატებისთვის მიეღწიოს.

"ვერაფრით ვიჯერებდი იმას, რაც გავაკეთე. ვიღაცამ მითხრა, მესამე იყავიო. შევხედე ტაბლოს და მართლა ჩემი სახელი დავინახე, თუმცა, დასარწმუნებლად რამდენჯერმე ისევ გავიხედე შედეგებისკენ", - თქვა ბრინჯაოს პრიზიორმა იაპონელმა.

ჩემპიონი კი ამერიკელი ჯონ კაპელი გახდა. აღსანიშნავია, რომ კაპელის ოქროს მედალი ყველაზე უარესი შედეგითაა (20,30) მოპოვებული. ჩემპიონს, რომელიც მძლეოსნობამდე ამერიკულ ფეხბურთს თამაშობდა, ფეხდაფეხ მისდევდა თანამემამულე დარვის პატონი.

"აშშ-ის სპრინტი კუთვნილ ადგილზე დაბრუნდა. ეს ისაა, რაც ჩვენ გვინდოდა. ვიცოდით, რომ ამას შევძლებდით. მე და დარვისი ამას ამერიკისთვის ვაკეთებდით", - გამარჯვების შემდეგ სიამაყით განაცხადა კაპელმა.

პირველი-მეორე ადგილები 110 მეტრზე თარჯრბენშიც ამერიკელებს დარჩათ. მესამეზე კი ჩინელი სპორტსმენი გავიდა.

ალენ ჯონსონმა, რომელიც პარიზამდე სამჯერ დაეუფლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს, მორიგი წარმატება იზეიმა. მეოთხე უმთავრესი ჯილდოთი ვეტერანი მორბენალი შეუერთდა ექვსკაციან ელიტარულ ჯგუფს, ანუ იმ ექვსეულს, რომელთაც ერთ კონკრეტულ დისციპლინაში, სულ ცოტა, ოთხჯერ მოუპოვებიათ ოქროს მედლები.

"პირველად მოპოვებული მსოფლიო ჩემპიონის ტიტული საუკეთესო რამ იყო, მაგრამ არც მეოთხე ჯილდოა ურიგო", - განაცხადა 32 წლის ჯონსონმა.

რომ არა ამერიკელის უპირველესი კონკურენტის, ლატვიელი სტანისლავ ოლიარისის ტრავმა, რომელმაც მას ფინალში ასპარეზობის საშუალება არ მისცა, შესაძლოა, გამარჯვებულიც ის ყოფილიყო. საქმე ის არის, რომ ჯონსონის მეოტოქეთაგან ლატვიელი ერთადერთია, რომელმაც წლეულს ჯონსონი დაამარცხა. თუმცა, ვინ იცის. 10 წლის განმავლობაში ალენ ჯონსონს ტიტული ერთადერთხელ აქვს დაკარგული. 1999 წელს, სევილიის მსოფლიო ჩემპიონატზე, ამერიკელს ტიტულში აწ უკვე სარბენი ბილიკებიდან წასული ბრიტანელი მსოფლიო რეკორდსმენი კოლინ ჯეკსონი შეეცილა.

რამდენადაც წარმატებული იყო მსოფლიო ჩემპიონატის მერვე დღე ამერიკის ნაკრებისთვის, იმდენად წარუმატებელი გამოდგა მათთვის ქალთა 4X100 ესტაფეტა. ამ დისციპლინაში ამერიკის ქალთა კვარტეტი, ყველასთვის მოულოდნელად, დამარცხდა. პირველი აღმოჩნდა ფრანგთა ოთხეული. მოგვიანებით გაგულისებულმა ჩემპიონებმა განაცხადეს კიდეც: არასდროს გვიფიქრია, რომ ამერიკელთა დამარცხება შესაძლებელი იქნებოდაო.

ამერიკელებმა კი თავი იმართლეს: რომ რომ არა კელი ვაითის სკანდალი, რომელმაც იგი ესტაფეტის მიღმა დატოვა, მოვლენები სხვაგვარად განვითარდებოდაო. საქმე ის არის, რომ 100 და 200 მეტრზე გამარჯვების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის სპრინტის დედოფლად შერაცხულ ვაითს სტიმულატორის გამოყენების ბრალდება წაუყენეს. თუ განმეორებითი ტესტირებისას ეჭვი დადასტურდა, მაშინ ამერიკელს ოქროს მედლებსაც ჩამოართმევენ და ორწლიანი დისკვალიფიკაციითაც "დაასაჩუქრებენ".

### ტექნიკური შედეგები

**ვაჟები:**
**200მ.**
1. ჯონ კაპელი (აშშ) 20,30
2. დარვის პატონი (აშშ) 20,31
3. შინგო სუეტსუგუ (იაპონია) 20,38

**400მ. თარჯრბენი**
1. ფელიქს სანჩესი (დომინიკა) 47,25
2. ჯოი ვუდი (აშშ) 48,18
3. პერიკლის იაკოვსკისი (საბერძნეთი) 48,24

**სიგრძეზე ხტომა**
1. დვაიტ ფილიპსი (აშშ) 8.32
2. ჯეიმს ბეკფორდი (იამაიკა) 8.28
3. იაგო ლამელა (ესპანეთი) 8.22

**110მ. თარჯრბენი**
1. ალენ ჯონსონი (აშშ) 13,12
2. ტერენს ტრამელი (აშშ) 13:20
3. სიანგ ლუ (ჩინეთი) 13,23

**მარათონი**
1. ჟაუად გარიბი (მაროკო) 2:08.31
2. ჯულიო რეი (ესპანეთი) 2:08.38
3. სტეფანო ბალდინი (იტალია) 2:09.14

**ქალები:**
**5000მ.**
1. ტირუნეს დიბაბა (ეთიოპია) 14.51,72
2. მარტა დომინგესი (ესპანეთი) 14.56,26
3. ედიტ მასაი (კენია) 14.52,30

**4X100**
1. საფრანგეთი – 41,78
2. აშშ – 41,83
3. რუსეთი – 42,66

**სიგრძეზე ხტომა**
1. ეუნის ბარბერი (საფრანგეთი) 6.99
2. ტატიანა კოტოვა (რუსეთი) 6.74
3. ანჟუ ბობი ჯორჯი (ინდოეთი) 6.70

**შუბის ტყორცნა**
1. მირილა მანჟანი (საბერძნეთი) 66.52
2. ტატიანა სიკოლენკო (რუსეთი) 63.28
3. შტეფი ნერიუსი (გერმანია) 62.70

## ფეხბურთი

# კარლოს კეიროში: „არ მინდა, ვიყო დელ ბოსკე"

*30 აგვისტოს შედგა ესპანეთის 2003-2004 წლების სეზონის ჩემპიონატის პირველი ტური. საფეხბურთო სამყარო განსაკუთრებით ელოდა "პრიმერა-დივიზიონის" დაწყებას - ის ხომ ევროპის უძლიერეს ლიგად არის აღიარებული, აქ ხომ მადრიდის "რეალი" თამაშობს...*
*სამეფო კლუბმა თავისი პირველი მატჩი უკვე გამართა და მოიგო კიდეც. მადრიდელებმა "ბეტისს" ბექჰემის (2` წუთზე) და რონალდოს (62`) გოლების წყალობით 2:1 სძლიეს.*
*ჩვენ კი გთავაზობთ მადრიდის "რეალის" პორტუგალიელი მწვრთნელის კარლოს კეიროშის ინტერვიუს - უკანასკნელ ინტერვიუს ახალი სეზონის წინ.*



კეიროშს "რეალთან" ერთად დიდი მიზნები აქვს.

REUTERS

**- თქვენი მისამართით უკვე კრიტიკა გაისმა. როგორ შეხვდით მას?**

- დარტყმას მხოლოდ მაშინ გრძნობ, როდესაც ეს დარტყმა გხვდება. მაგრამ თუ ეს შენ არ გეხება, სანერვიულო არაფერია. ჩემი საქმე გუნდის გაწვრთნაა, ხოლო ჟურნალისტების საქმე - კრიტიკა. კრიტიკა ზოგჯერ სასარგებლოა, მაგრამ უსარგებლო კრიტიკას არაფრად მივიჩნევ.

**- მზად ხართ, რომ კრიტიკა ყოველდღიურად მოისმინოთ?**

- გაგიგონიათ ამბავი ვირზე, ბერიკაცზე და ბავშვზე? იყო ერთი ბავშვი, რომელიც ფეხით მიუყვებოდა გზას. იყო ერთი ბერიკაცი, რომელიც ვირზე ამხედრებული მიდიოდა. ადამიანები, რომლებიც მათ გზაზე ხვდებოდნენ, აკრიტიკებდნენ: როგორ შეუძლია ბერიკაცს ასეთ ასაკში ვირზე ჯდომაო. შემდეგ ბავშვი და ბერიკაცი ერთმანეთს ადგილებს უცვლიდნენ – ვირზე ბავშვი ჯდებოდა. ხალხი ისევ აკრიტიკებდა მათ: როგორ შეიძლება ასეთი პატარის ვირზე ამხედრებაო. ბერიკაცი და ბავშვი ერთად დასხდნენ ვირზე. ხალხი ისევ აკრიტიკებდა მათ. ყველას რომ უსმინო, შენს საქმეს ველარ გააკეთებ. ჩემი საქმე გადაწყვეტილების მიღებაა.

**- ამბობენ, "რეალის" მწვრთნელს უფრო ხშირად უჩვენებენ ტელევიზიით, ვიდრე მთავრობის წევრებსო.**

- დიახ *(იცინის)*. ეს ჩვენი საზოგადოების, ჩვენი კულტურის შემადგენელი ნაწილია. მაგრამ ეს მაინც გადაჭარბებულია. მე 24 საათის განმავლობაში ფეხბურთზე არ ვფიქრობ. ასე რომ იყოს, თავის ადგილზე საფეხბურთო ბურთი მექნებოდა.

**- გესმით მათი, ვისაც წაგებული მატჩის შემდეგ ჭამის თავიც აღარა აქვს?**

- ვერ ვიტან წაგებას და ვერ ვიტან საკუთარ თავს, როდესაც ვმარცხდები. შესაძლოა, წააგო იმიტომ, რომ შენ დაუშვი შეცდომა, შესაძლოა, დამარცხდე იმიტომ, რომ მეტოქე იყო ძლიერი. თუ შენი შეცდომის გამო წააგე, უნდა გამოასწორო ეს შეცდომა, ხოლო თუ მეტოქე უფრო ძლიერი იყო, პატივი უნდა სცე მას და შეგეძლოს, აღფრთოვანდე მისით.

**- თქვენ ძალიან გაწონასწორებული ჩანხართ. ნუთუ არასოდეს გეშლებათ ნერვები?**

- ხანდახან... მაგრამ მწვრთნელის ამოცანა ის არის, რომ გადაწყვეტილება ცივი გონებით მიიღოს და არ აყვეს ემოციებს.

**- ამბობენ, ინგლისში მწვრთნელების ნახევარს გული აწუხებსო.**

- მართალია *(იცინის)*. და ეს ნორმალურია. მწვრთნელის სკამზე გული სხვანაირად ძგერს. ბოლო დროს საკუთარი თავის გაკონტროლება ვისწავლე. ყოველ შემთხვევაში, როცა მწვრთნელის სკამზე ვზივარ, ჩემი გული ჩვეულებრივი სიხშირით ძგერს.

**- დელ ბოსკე დღემდე უყვართ. როგორ ფიქრობთ, ბევრი მუშაობა დაგჭირდებათ იმისთვის, რომ თქვენც ასეთი სიყვარული დაიმსახუროთ?**

- მე არ შემიძლია, ვიყო შუმახერი და ეს არც მინდა. ასევე არ მინდა, ვიყო დელ ბოსკე ან ფერგიუსონი. ღმერთმა იმის პატივი მარგუნა, რომ ერთადერთი ვიყო. მე შემიძლია, ვიყო მხოლოდ კარლოს კეიროში. თუ ხალხს ვუყვარვარ – ეს კარგია, თუ არა - არ გამიმართლა.

**- "რეალში" დისკომფორტს ხომ არ გრძნობთ?**

- არა. ჯერჯერობით აქ დიდი მიზნები მაქვს. მე აღარ ვარ 20 წლის და არ ვაპირებ, დრო უაზროდ გავფლანგო. არც ისე ბევრი დამრჩა. რატომ უნდა ვთქვა უარი შანსზე, რომელზეც ყველა ოცნებობს? ეს სისულელე იქნებოდა. სჯობს, დღევანდელი დღით ვიცხოვროთ.

**- თქვენ ცხოვრობდით სამხრეთ აფრიკაში, იაპონიაში, აშშ-ში, ინგლისში. სად არის თქვენი სახლი?**

- ჩემი სახლი იქ არის, სადაც სიყვარულით მეპყრობიან და სადაც ჩემი სამსახურია. ჩემი სახლი იქ არის, სადაც მე ვუყვარვარ.

## ფორმულა 1

# იაპონური სასწაულის იმედად

ნინო პირველი

უნგრეთში განცდილი კრახის შემდეგ, როცა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი მხოლოდ მერვე მივიდა ფინიშთან, ბარიკელო კი საერთოდ გამოეთიშა ტურნირს, "ფერარის" შეფმა ლუკა დი მონტეძემოლომ განაცხადა: "ის, რაც უნგრეთში მოხდა, აღარ უნდა გამეორდეს. მონცაში მე "ფერარის" და "ბრიჯსტოუნის" ძლიერი გუნდი უნდა ვნახო!" ბოსმა ბრძანება გასცა, იტალიაში აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთო, მაგრამ რამდენად რეალურია მონცას ტრასაზე გამარჯვების პერსპექტივა?

მიხაელ შუმახერს ხომ, უკვე კარგა ხანია, კვარცხლბეკზე შედგომა ვერ მოუხერხებია? ლუკა დი მონტეძემოლოს შემთხვევით არ უხსენებია "ფერარის" და "ბრიჯსტოუნის" ძლიერი გუნდი. უკვე აღარავისთვის საიდუმლო არ არის ის ფაქტი, რომ "ფერარი" სწორედ "ბრიჯსტოუნის" საბურავების გამო ველარ იმარჯვებს. უნგრეთის რბოლის შემდეგ იტალიური საჯინიბოს შეფმა საჯაროდ პირველად უსაყვედურა თავის იაპონელ პარტნიორებს და მათაც აღიარეს საბურავების გაუმართაობა. "მონტე კარლოში, მანი კურის ტრასაზე, ნიურნბურგრინგზე და ჰოკენჰაიმში "ფერარის" წარუმატებლობა ნამდვილად საბურავების ბრალია", - განაცხადა "ბრიჯსტოუნის" შეფმა ჰიროჰიდა ჰამაშიმამ. იაპონელები იტალიელებს შეჰპირდნენ, რომ თავს არ დაზოგავდნენ ნაკლის გამოსასწორებლად და მონცას რბოლისთვის "ფერარის" ახალი, საიმედო საბურავებით მოამარაგებდნენ. "ჩვენ დღეს და ღამეს ვასწორებთ, ლაბორატორია განუწყვეტლივ მუშაობს ახალ საბურავებზე. იმედია, მონცას რბოლისთვის ყველაფერი რიგზე იქნება", - ამბობს ჰამაშიმა.

ასე რომ, შუმახერისა და "ფერარის" ბედი მთლიანად "ბრიჯსტოუნის" შავ რეზინებზე ჰკიდია. თუ იაპონელები სასწაულს ვერ მოახდენენ, "ფერარი" წლეულს უტიტულოდ დარჩება. ალბათ, იკითხავთ, რატომ არ გაწყვეტს "ფერარი" კავშირს "ბრიჯსტოუნთან" და არ შეუთანხმდება "მიშელინს", რომლის საბურავებითაც ასე მშვენივრად დაქრიან იტალიელთა მეტოქეები "უილიამსი" და "მაკლარენი"? საქმე ის არის, რომ "ფერარის" 2004 წლამდე აქვს კონტრაქტი დადებული იაპონელებთან. ამას გარდა, იმისთვის, რომ მანქანას ახალი საბურავები კარგად მოერგოს და წარმატებით იასპარეზოს, ერთი წელიწადი მაინც არის საჭირო. ამდენი დრო კი "ფერარის" ნამდვილად არა აქვს, სეზონის ბოლომდე ხომ მხოლოდ ორი რბოლაა დარჩენილი.

ლუკა დი მონტეძემოლოს თავი ისე უჭირავს, თითქოს არც კი ანაღვლებდეს "ფერარის" წარუმატებლობა. "ჩვენ წლეულსაც შეგვიძლია ჩემპიონობის მოპოვება, რადგან მსოფლიოში უძლიერესი პილოტი გვყავს მიხაელ შუმახერის სახით". თავად უფროსი "შუმიც" სიმშვიდეს ინარჩუნებს და აბეზარ ჟურნალისტებს არწმუნებს, ჯერ დაკარგული არაფერიაო. "მე მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია: გამოწვევას ვიღებ და ბოლომდე ვიბრძოლებ. სანამ ერთი მოსახვევი მაინც მაქვს გასავლელი, არაფერს დავთმობ!" - მტკიცედ აცხადებს ჩემპიონი. სხვათა შორის, შუმახერი ასეთ მძიმე სიტუაციაში პირველად როდია ჩავარდნილი. 2000 წელს შუმახერი დიდხანს იყო პირველ ადგილზე, შემდეგ კი ფინელმა მიკა ჰაკინენმა გაუსწრო. ხუთი რბოლის განმავლობაში ერთხელაც ვერ გაიმარჯვა, მაგრამ შემდეგ მონცაში მიაღწია წარმატებას და "ფერარისთან" ერთად პირველად გახდა ჩემპიონი. უფროსი "შუმი" და "ფერარი" ახლა სწორედ ისეთივე კრიზისში არიან, როგორც სამი წლის წინათ და ახლაც მონცას რბოლა ახლოვდება. 14 სექტემბერს ფორმულა 1 იტალიას ეწვევა და აქ რომ "ფერარიმ" ვერ გაიმარჯვოს, შუმახერს პრესისა და ტიფოზების რისხვისგან ვერავინ იხსნის. ფსიქოლოგიური წნეხი მეტად ძლიერია, მაგრამ ლუკა დი მონტეძემოლოს სწორედ ამ ზეწოლის იმედი აქვს: "რაც უფრო მეტია წინაღობა, მით უფრო იზრდება ჩვენი მონდომება და ბრძოლისუნარიანობა. ჩვენი ჩამოწერა ჯერ ნაადრევია", - იმუქრება "ფერარის" შეფი. მონცას რბოლისთვის "შუმი" განახლებულ ბოლიდს მიიღებს. ყველაფერი ახალი იქნება - აეროდინამიკა, ელექტრონიკა, ძრავა და, ალბათ, საბურავებიც, როგორც იაპონელები ირწმუნებიან. მომავალ კვირას მონცაში შედგება ტესტ-რბოლა, რომელსაც "ფერარისთვის" სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

სანამ "ფერარი" მონცას ტრასის დასამორჩილებლად ემზადება, "რენოს" შეფი ფლავიო ბრიატორე უნგრეთში მოპოვებული ტრიუმფალური წარმატებით ტკბება. მისმა პილოტმა, 22 წლის ფერნანდო ალონსომ სასწაული მოახდინა და უნგრეთში ყველას აჯობა. ალონსოს წარმატება იმდენად მოულოდნელი იყო ყველასთვის, რომ ესპანეთში ბექჰემი და მადრიდის "რეალი" ყველას მიავიწყდა, ყველა გაზეთის პირველ გვერდზე ალონსოს გაღიმებული სახე გამოჩნდა. ფერნანდო ალონსო, ისევე როგორც მიხაელ შუმახერი, ფლავიო ბრიატორეს აღმოჩენაა. 1992 წელს შუმახერის გამარჯვება სპაში ასევე ყველასთვის მოულოდნელი იყო, ორი წლის შემდეგ კი შუმახერმა "ბენეტონის" საჯინიბოს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოუტანა. მაშინ "შუმის" შეფი სწორედ იტალიელი პლეი ბოი იყო. ბრიატორეს მანქანების არაფერი გაეგება, ავტომობილის მართვაც კი არ შეუძლია, მაგრამ იცის, როგორ მიაღწიოს წარმატებას. ადრე ის შუმახერთან ერთად გახდა ჩემპიონი, ახლა კი ალონსოს ჯერია...

ფერნანდო ალონსო ყველაზე ახალგაზრდა პილოტია, ვისაც კი ფორმულას გრან-პრი მოუგია. უნგრეთის რბოლის წინ ალონსომ საიდუმლოდ გაანდო ბებიას: "არავის უთხრა, მე ვიცი, რომ უნგრეთში გავიმარჯვებ!" ალონსო ღარიბი ოჯახიდანაა. 2001 წელს "მინარდის" პილოტი გახდა. აქ იპოვა ის ფლავიო ბრიატორემ და "რენოში" წაიყვანა. თავიდან ახალგაზრდა ესპანელი მხოლოდ ტესტ-პილოტის მოვალეობას ასრულებდა, ახლა მას მომავალ ჩემპიონს უწოდებენ.

## TV-პროგრამა

**ორშაბათი. 1 სექტემბერი**

НТВ + ФУТБОЛ
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:25 ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ სიტი" – "არსენალი"
15:10 უკრაინის ჩემპიონატი. "დინამო" – "ბორისფენი"
16:50 რუსეთის ჩემპიონატი. "ლოკომოტივი" - კრილია სოვეტოვი"
18:35 თავისუფალი დარტყმა
18:50 ინგლისის ჩემპიონატი. "ჩელსი" – "ბლექბერნი"
20:40 საფეხბურთო უიკ-ენდი
21:25 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 ინგლისის ჩემპიონატი. მიმოხილვა
22:25 რუსეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა
23:25 იტალიის ჩემპიონატი. "ანკონა" – "მილანი". პირდაპირი ტრანსლაცია
01:20 "FUTBOL MUNDIAL"

НТВ + СПОРТ
09:00 09:00-დან 11:00-მდე შესვენება
11:00, 17:15, 19:30 პრესცენტრი
11:15, 19:45 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. შესვენებისას (14:00) პრესცენტრი
15:45 კალათბურთი. WNBA ჩემპიონატი. პლეი-ოფი
17:30 პროფესიონალური კრივი. ვლადიმირ კლიჩკო - ფაბიო მოლი
19:50 სახვალიო ტელეპროგრამა
19:55 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (22:00) პრესცენტრი, (01:15) ახალი ამბები
03:00 "ბილიარდის მეუფენი"
03:30 "სპორტული გლობუსი"
03:55 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT
10:30 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩეხეთში
12:00 ავტორბოლა. მსოფლიო სერია აშშ-ში
13:30 ინდიკარის ავტორბოლა
15:00 სპიდვეი. მსოფლიო თასი დანიაში
16:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატის ლეგენდები
17:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი
20:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი
02:45 ახალი ამბები
03:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი
05:00 ახალი ამბები

# „საოჯახო ლოტო"-ს 30 აგვისტოს №23 გათამაშების ცხრილი

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 001005 | 1,0 |
| 001017 | 2,0 |
| 001051 | 7,0 |
| 001072 | 2,0 |
| 001087 | 4,0 |
| 001088 | 9,0 |
| 001090 | 1,0 |
| 001138 | 1,0 |
| 001139 | 7,0 |
| 001155 | 1,0 |
| 001187 | 2,0 |
| 001188 | 1,0 |
| 001191 | 1,0 |
| 001200 | 1,0 |
| 001213 | 3,0 |
| 001222 | 1,5 |
| 001225 | 4,5 |
| 001265 | 1,0 |
| 001270 | 2,0 |
| 001275 | 1,0 |
| 001286 | 3,5 |
| 001321 | 2,0 |
| 001339 | 5,0 |
| 001345 | 7,0 |
| 001362 | 1,0 |
| 001369 | 4,5 |
| 001385 | 1,5 |
| 001387 | 4,0 |
| 001400 | 4,5 |
| 001403 | 1,0 |
| 001419 | 1,0 |
| 001445 | 2,0 |
| 001468 | 1,5 |
| 001470 | 2,5 |
| 001473 | 2,5 |
| 001480 | 3,0 |
| 001492 | 4,0 |
| 001518 | 6,0 |
| 001523 | 2,0 |
| 001535 | 1,0 |
| 001541 | 20,0 |
| 001547 | 4,0 |
| 001575 | 2,0 |
| 001595 | 2,0 |
| 001602 | 1,5 |
| 001616 | 2,0 |
| 001626 | 1,0 |
| 001630 | 2,0 |
| 001646 | 2,0 |
| 001679 | 7,0 |
| 001684 | 2,0 |
| 001693 | 2,5 |
| 001702 | 6,0 |
| 001706 | 1,0 |
| 001717 | 1,0 |
| 001786 | 1,0 |
| 001791 | 2,0 |
| 001800 | 2,5 |
| 001809 | 1,0 |
| 001826 | 5,0 |
| 001834 | 1,5 |
| 001848 | 2,5 |
| 001854 | 2,5 |
| 001865 | 2,5 |
| 001869 | 2,0 |
| 001915 | 1,5 |
| 001931 | 4,5 |
| 001936 | 2,0 |
| 001962 | 3,5 |
| 001975 | 3,0 |
| 002002 | 25,0 |
| 002014 | 1,0 |
| 002019 | 8,0 |
| 002036 | 12,5 |
| 002051 | 3,0 |
| 002054 | 9,0 |
| 002058 | 2,0 |
| 002085 | 2,0 |
| 002137 | 1,0 |
| 002151 | 1,0 |
| 002177 | 4,5 |
| 002182 | 2,0 |
| 002183 | 1,5 |
| 002191 | 2,0 |
| 002193 | 2,0 |
| 002206 | 4,0 |
| 002242 | 3,0 |
| 002246 | 1,5 |
| 002249 | 1,5 |
| 002250 | 1,5 |
| 002269 | 2,5 |
| 002275 | 1,5 |
| 002285 | 2,0 |
| 002308 | 1,5 |
| 002322 | 3,5 |
| 002338 | 1,0 |
| 002356 | 2,0 |
| 002372 | 3,0 |
| 002400 | 2,0 |
| 002405 | 2,0 |
| 002409 | 1,5 |
| 002422 | 3,5 |
| 002449 | 7,0 |
| 002461 | 4,5 |
| 002467 | 1,5 |
| 002493 | 3,0 |
| 002494 | 2,0 |
| 002496 | 2,0 |
| 002515 | 2,5 |
| 002524 | 2,0 |
| 002540 | 2,5 |
| 002545 | 2,5 |
| 002552 | 2,0 |
| 002557 | 7,0 |
| 002580 | 1,5 |
| 002636 | 3,0 |
| 002644 | 2,0 |
| 002653 | 2,0 |
| 002663 | 2,5 |
| 002664 | 1,0 |
| 002668 | 4,0 |
| 002681 | 2,0 |
| 002736 | 1,5 |
| 002739 | 1,0 |
| 002747 | 3,0 |
| 002762 | 2,5 |
| 002777 | 1,5 |
| 002815 | 3,5 |
| 002823 | 5,0 |
| 002832 | 2,0 |
| 002838 | 3,0 |
| 002864 | 1,0 |
| 002865 | 3,5 |
| 002895 | 4,0 |
| 002905 | 5,0 |
| 002934 | 2,5 |
| 002957 | 2,5 |
| 002961 | 2,0 |
| 002963 | 1,5 |
| 002969 | 2,0 |
| 002985 | 1,5 |
| 002999 | 2,0 |
| 003001 | 2,5 |
| 003017 | 3,0 |
| 003064 | 4,0 |
| 003072 | 6,0 |
| 003079 | 3,5 |
| 003108 | 1,0 |
| 003109 | 4,0 |
| 003112 | 1,0 |
| 003127 | 2,0 |
| 003135 | 2,5 |
| 003161 | 1,5 |
| 003162 | 4,5 |
| 003173 | 1,5 |
| 003211 | 2,5 |
| 003217 | 3,0 |
| 003229 | 2,5 |
| 003233 | 1,5 |
| 003276 | 2,0 |
| 003289 | 2,0 |
| 003299 | 1,0 |
| 003300 | 7,0 |
| 003320 | 3,5 |
| 003345 | 2,5 |
| 003349 | 3,5 |
| 003361 | 2,0 |
| 003397 | 3,0 |
| 003414 | 1,5 |
| 003422 | 1,0 |
| 003432 | 1,0 |
| 003436 | 2,0 |
| 003460 | 2,0 |
| 003475 | 2,5 |
| 003484 | 5,0 |
| 003485 | 1,5 |
| 003501 | 1,5 |
| 003519 | 1,0 |
| 003532 | 1,0 |
| 003536 | 10,0 |
| 003542 | 2,0 |
| 003567 | 2,0 |
| 003605 | 2,5 |
| 003628 | 6,0 |
| 003673 | 4,0 |
| 003678 | 1,5 |
| 003683 | 2,5 |
| 003700 | 1,5 |
| 003722 | 1,0 |
| 003758 | 2,5 |
| 003765 | 1,5 |
| 003802 | 5,0 |
| 003815 | 1,0 |
| 003833 | 2,0 |
| 003911 | 2,0 |
| 003917 | 8,0 |
| 003925 | 2,0 |
| 003926 | 3,5 |
| 003931 | 2,0 |
| 003995 | 1,0 |
| 004014 | 2,0 |
| 004033 | 1,5 |
| 004038 | 2,0 |
| 004048 | 2,0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 004069 | 1,0 |
| 004071 | 2,0 |
| 004074 | 4,5 |
| 004090 | 2,0 |
| 004098 | 2,5 |
| 004120 | 1,0 |
| 004162 | 1,5 |
| 004187 | 1,0 |
| 004215 | 4,0 |
| 004240 | 1,0 |
| 004252 | 5,0 |
| 004262 | 2,0 |
| 004286 | 1,0 |
| 004817 | 1,0 |
| 004836 | 1,5 |
| 004873 | 2,5 |
| 004880 | 2,5 |
| 004886 | 2,5 |
| 004892 | 2,0 |
| 004910 | 3,0 |
| 004916 | 1,5 |
| 004938 | 1,0 |
| 004942 | 1,5 |
| 004996 | 1,5 |
| 005020 | 3,5 |
| 005027 | 3,5 |
| 005032 | 2,0 |
| 005038 | 1,0 |
| 005040 | 10,0 |
| 005043 | 2,0 |
| 005063 | 1,0 |
| 005082 | 4,5 |
| 005089 | 1,0 |
| 005103 | 2,0 |
| 005175 | 7,0 |
| 005209 | 4,0 |
| 005216 | 10,0 |
| 005227 | 1,0 |
| 005269 | 2,0 |
| 005291 | 1,0 |
| 005296 | 6,0 |
| 005316 | 3,5 |
| 005328 | 2,0 |
| 005330 | 10,0 |
| 005331 | 2,0 |
| 005335 | 1,5 |
| 005392 | 2,5 |
| 005395 | 1,0 |
| 005408 | 2,0 |
| 005411 | 2,5 |
| 005419 | 2,0 |
| 005490 | 3,0 |
| 005494 | 2,0 |
| 005511 | 1,5 |
| 005531 | 4,5 |
| 005541 | 7,0 |
| 005543 | 1,0 |
| 005551 | 5,0 |
| 005556 | 2,0 |
| 005559 | 1,5 |
| 005567 | 3,5 |
| 005619 | 1,5 |
| 005636 | 3,5 |
| 005641 | 4,0 |
| 005668 | 4,0 |
| 005669 | 4,0 |
| 005675 | 1,5 |
| 005681 | 1,0 |
| 005701 | 7,0 |
| 005713 | 2,0 |
| 005717 | 2,0 |
| 005718 | 2,0 |
| 005726 | 5,0 |
| 005733 | 2,0 |
| 005758 | 2,0 |
| 005790 | 1,5 |
| 005796 | 1,0 |
| 005814 | 2,0 |
| 005827 | 2,5 |
| 005828 | 3,5 |
| 005840 | 4,0 |
| 005844 | 1,0 |
| 005869 | 2,0 |
| 005879 | 2,0 |
| 005880 | 5,0 |
| 005887 | 5,0 |
| 005923 | 2,0 |
| 005962 | 2,0 |
| 005965 | 2,0 |
| 005987 | 2,5 |
| 005996 | 3,0 |
| 006009 | 1,0 |
| 006017 | 2,0 |
| 006024 | 4,0 |
| 006053 | 1,5 |
| 006065 | 5,0 |
| 006075 | 2,0 |
| 006088 | 2,5 |
| 006094 | 6,0 |
| 006107 | 2,0 |
| 006126 | 3,5 |
| 006139 | 3,0 |
| 006140 | 2,0 |
| 006147 | 4,5 |
| 006151 | 1,5 |
| 006186 | 1,5 |
| 006195 | 1,0 |
| 006206 | 7,0 |
| 006208 | 3,0 |
| 006232 | 5,0 |
| 006265 | 1,0 |
| 006288 | 4,0 |
| 006333 | 3,0 |
| 006337 | 1,0 |
| 006350 | 1,0 |
| 006355 | 1,0 |
| 006375 | 2,0 |
| 006404 | 2,0 |
| 006407 | 3,5 |
| 006415 | 2,0 |
| 006418 | 2,5 |
| 006421 | 2,0 |
| 006431 | 2,0 |
| 006454 | 2,5 |
| 006460 | 3,0 |
| 006473 | 2,0 |
| 006489 | 4,0 |
| 006515 | 20,0 |
| 006550 | 1,5 |
| 006552 | 1,5 |
| 006607 | 1,5 |
| 006617 | 15,0 |
| 006618 | 1,5 |
| 006629 | 7,0 |
| 006630 | 2,0 |
| 006641 | 7,0 |
| 006642 | 1,0 |
| 006653 | 5,0 |
| 006665 | 1,0 |
| 006675 | 2,0 |
| 006685 | 1,0 |
| 006690 | 2,0 |
| 006730 | 4,5 |
| 006736 | 2,5 |
| 006765 | 2,0 |
| 006771 | 2,0 |
| 006779 | 2,5 |
| 006817 | 2,0 |
| 006868 | 1,5 |
| 006880 | 1,0 |
| 006895 | 1,5 |
| 006916 | 1,5 |
| 006944 | 2,0 |
| 006962 | 3,0 |
| 006972 | 1,5 |
| 006985 | 2,0 |
| 006987 | 2,5 |
| 006993 | 4,5 |
| 007015 | 2,5 |
| 007018 | 2,5 |
| 007019 | 1,5 |
| 007026 | 3,0 |
| 007045 | 3,0 |
| 007053 | 1,0 |
| 007061 | 2,0 |
| 007071 | 3,0 |
| 007073 | 1,0 |
| 007082 | 1,5 |
| 007091 | 2,0 |
| 007092 | 2,0 |
| 007096 | 2,5 |
| 007132 | 2,0 |
| 007140 | 1,0 |
| 007143 | 1,0 |
| 007158 | 4,0 |
| 007171 | 1,0 |
| 007187 | 4,5 |
| 007195 | 1,0 |
| 007198 | 1,0 |
| 007207 | 1,0 |
| 007210 | 7,0 |
| 007233 | 2,0 |
| 007236 | 2,5 |
| 007240 | 3,5 |
| 007257 | 1,0 |
| 007266 | 1,0 |
| 007289 | 3,5 |
| 007305 | 3,5 |
| 007324 | 4,0 |
| 007329 | 4,0 |
| 007351 | 2,0 |
| 007352 | 1,0 |
| 007355 | 2,0 |
| 007389 | 1,0 |
| 007429 | 2,5 |
| 007440 | 3,0 |
| 007457 | 3,0 |
| 007459 | 2,0 |
| 007464 | 2,0 |
| 007485 | 4,5 |
| 007500 | 1,5 |
| 007509 | 6,0 |
| 007514 | 2,0 |
| 007526 | 12,5 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 007531 | 2,5 |
| 007542 | 2,0 |
| 007547 | 20,0 |
| 007552 | 3,0 |
| 007583 | 2,0 |
| 007619 | 2,0 |
| 007620 | 1,0 |
| 007669 | 1,5 |
| 007700 | 1,0 |
| 007704 | 1,5 |
| 007739 | 2,0 |
| 007745 | 5,0 |
| 007772 | 4,0 |
| 007804 | 2,5 |
| 007813 | 2,5 |
| 007818 | 1,5 |
| 007825 | 1,5 |
| 007843 | 3,0 |
| 007892 | 1,0 |
| 007894 | 1,0 |
| 007901 | 1,0 |
| 007903 | 2,0 |
| 007905 | 7,0 |
| 007907 | 2,5 |
| 007909 | 4,0 |
| 007914 | 4,0 |
| 007916 | 4,0 |
| 007931 | 2,0 |
| 007932 | 3,5 |
| 007952 | 4,5 |
| 007961 | 1,5 |
| 007968 | 1,0 |
| 007972 | 5,0 |
| 007985 | 2,5 |
| 008012 | 4,5 |
| 008063 | 6,0 |
| 008079 | 2,5 |
| 008088 | 2,0 |
| 008138 | 1,5 |
| 008143 | 3,0 |
| 008144 | 1,5 |
| 008171 | 3,0 |
| 008187 | 2,0 |
| 008194 | 1,0 |
| 008209 | 1,5 |
| 008229 | 10,0 |
| 008232 | 1,5 |
| 008241 | 4,0 |
| 008251 | 4,5 |
| 008253 | 2,0 |
| 008257 | 2,0 |
| 008270 | 2,0 |
| 008290 | 1,0 |
| 008304 | 1,5 |
| 008311 | 2,0 |
| 008338 | 2,5 |
| 008347 | 1,0 |
| 008360 | 1,0 |
| 008363 | 1,0 |
| 008377 | 2,5 |
| 008467 | 7,0 |
| 008530 | 3,0 |
| 008575 | 1,5 |
| 008591 | 1,5 |
| 008595 | 2,0 |
| 008599 | 4,0 |
| 008611 | 1,5 |
| 008624 | 4,5 |
| 008638 | 1,5 |
| 008656 | 2,5 |
| 008667 | 2,0 |
| 008686 | 2,5 |
| 009617 | 1,5 |
| 009623 | 1,5 |
| 009650 | 4,0 |
| 009654 | 2,0 |
| 009663 | 6,0 |
| 009693 | 2,0 |
| 009694 | 2,0 |
| 009715 | 50,0 |
| 009716 | 2,5 |
| 009719 | 1,5 |
| 009741 | 1,0 |
| 009743 | 1,0 |
| 009783 | 3,5 |
| 009797 | 4,0 |
| 009798 | 1,0 |
| 009803 | 2,0 |
| 009835 | 2,0 |
| 009849 | 2,5 |
| 009873 | 3,0 |
| 009877 | 2,0 |
| 010013 | 25,0 |
| 010017 | 1,0 |
| 010029 | 1,5 |
| 010033 | 7,0 |
| 010083 | 7,0 |
| 010096 | 1,5 |
| 010100 | 8,0 |
| 010110 | 1,0 |
| 010113 | 3,0 |
| 010117 | 5,0 |
| 010119 | 1,0 |
| 010154 | 2,0 |
| 010167 | 1,0 |
| 010205 | 2,0 |
| 010217 | 2,0 |
| 010221 | 6,0 |
| 010233 | 2,0 |
| 010266 | 2,0 |
| 010303 | 2,0 |
| 010318 | 1,5 |
| 010331 | 2,0 |
| 010333 | 3,0 |
| 010344 | 6,0 |
| 010345 | 1,5 |
| 010351 | 1,5 |
| 010359 | 4,0 |
| 010396 | 1,0 |
| 010421 | 1,0 |
| 010430 | 1,5 |
| 010432 | 3,0 |
| 010460 | 2,0 |
| 010468 | 3,0 |
| 010495 | 4,5 |
| 010528 | 2,5 |
| 010530 | 1,5 |
| 010593 | 3,5 |
| 010607 | 1,5 |
| 010638 | 2,0 |
| 010661 | 1,0 |
| 010680 | 2,5 |
| 010696 | 1,0 |
| 010716 | 1,0 |
| 010730 | 3,0 |
| 010731 | 4,0 |
| 010750 | 3,0 |
| 010762 | 3,0 |
| 010778 | 4,0 |
| 010791 | 5,0 |
| 010799 | 2,0 |
| 010815 | 1,0 |
| 010820 | 3,0 |
| 010821 | 2,0 |
| 010823 | 6,0 |
| 010826 | 2,0 |
| 010851 | 2,0 |
| 010858 | 1,5 |
| 010864 | 2,0 |
| 010900 | 2,0 |
| 010906 | 10,0 |
| 010916 | 2,0 |
| 010921 | 6,0 |
| 010945 | 12,5 |
| 010955 | 2,0 |
| 010997 | 6,0 |
| 011017 | 3,5 |
| 011022 | 3,0 |
| 011030 | 1,5 |
| 011072 | 2,0 |
| 011078 | 1,0 |
| 011116 | 15,0 |
| 011130 | 3,5 |
| 011131 | 3,5 |
| 011133 | 2,0 |
| 011134 | 5,0 |
| 011139 | 3,0 |
| 011140 | 2,5 |
| 011142 | 4,0 |
| 011148 | 4,0 |
| 011151 | 2,0 |
| 011154 | 5,0 |
| 011176 | 1,0 |
| 011180 | 2,0 |
| 011202 | 2,0 |
| 011210 | 3,0 |
| 011225 | 1,0 |
| 011226 | 3,0 |
| 011241 | 1,0 |
| 011246 | 1,0 |
| 011302 | 2,0 |
| 011362 | 2,5 |
| 011365 | 2,5 |
| 011380 | 5,0 |
| 011388 | 6,0 |
| 011395 | 3,5 |
| 011408 | 5,0 |
| 011412 | 2,0 |
| 011463 | 4,5 |
| 011475 | 2,0 |
| 011477 | 2,0 |
| 011491 | 1,0 |
| 011498 | 4,5 |
| 011508 | 3,0 |
| 011515 | 1,5 |
| 011523 | 2,0 |
| 011524 | 3,5 |
| 011545 | 2,0 |
| 011564 | 1,0 |
| 011585 | 3,5 |
| 011596 | 1,0 |
| 011605 | 2,0 |
| 011609 | 2,0 |
| 011613 | 1,0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 011616 | 1,0 |
| 011617 | 1,0 |
| 011618 | 2,0 |
| 011622 | 4,5 |
| 011630 | 1,5 |
| 011715 | 2,0 |
| 011726 | 1,5 |
| 011747 | 2,5 |
| 011779 | 2,0 |
| 011785 | 2,0 |
| 011835 | 2,0 |
| 011852 | 1,0 |
| 011893 | 2,5 |
| 011908 | 2,0 |
| 011911 | 3,0 |
| 011915 | 2,5 |
| 011934 | 4,5 |
| 011946 | 2,0 |
| 011979 | 1,5 |
| 011983 | 2,0 |
| 011985 | 1,0 |
| 012016 | 1,5 |
| 012040 | 6,0 |
| 012048 | 4,5 |
| 012092 | 2,0 |
| 012111 | 4,0 |
| 012146 | 2,0 |
| 012166 | 4,0 |
| 012180 | 2,0 |
| 012241 | 2,0 |
| 012251 | 3,0 |
| 012256 | 3,5 |
| 012271 | 2,0 |
| 012282 | 1,0 |
| 012341 | 100,0 |
| 012368 | 4,5 |
| 012458 | 15,0 |
| 012462 | 1,0 |
| 012470 | 2,5 |
| 012513 | 1,0 |
| 012517 | 1,0 |
| 012524 | 3,5 |
| 012537 | 1,5 |
| 012541 | 1,0 |
| 012548 | 2,0 |
| 012560 | 2,0 |
| 012563 | 1,5 |
| 012567 | 2,5 |
| 012577 | 1,0 |
| 012586 | 3,0 |
| 012605 | 1,0 |
| 012632 | 3,5 |
| 012661 | 3,0 |
| 012674 | 1,0 |
| 012683 | 1,5 |
| 012711 | 1,0 |
| 012714 | 8,0 |
| 012747 | 2,5 |
| 012751 | 2,0 |
| 012765 | 1,0 |
| 012800 | 7,0 |
| 012853 | 1,0 |
| 012868 | 2,0 |
| 012888 | 2,0 |
| 012891 | 2,0 |
| 012896 | 2,0 |
| 012898 | 1,5 |
| 012900 | 3,0 |
| 012927 | 1,0 |
| 012928 | 2,0 |
| 012936 | 1,5 |
| 012959 | 9,0 |
| 012994 | 6,0 |
| 013001 | 1,0 |
| 013020 | 1,0 |
| 013029 | 2,0 |
| 013079 | 2,0 |
| 013100 | 2,0 |
| 013104 | 5,0 |
| 013161 | 1,5 |
| 013186 | 1,0 |
| 013190 | 1,5 |
| 013223 | 2,0 |
| 013284 | 7,0 |
| 013293 | 1,0 |
| 013322 | 3,0 |
| 013335 | 2,0 |
| 013345 | 1,5 |
| 013351 | 2,5 |
| 013369 | 2,0 |
| 013372 | 2,0 |
| 013374 | 4,0 |
| 013394 | 1,5 |
| 013425 | 2,0 |
| 013475 | 3,5 |
| 013485 | 7,0 |
| 013523 | 1,5 |
| 013553 | 3,5 |
| 013560 | 4,5 |
| 013571 | 1,0 |
| 013580 | 3,5 |
| 013597 | 2,0 |
| 013612 | 5,0 |
| 013630 | 1,0 |
| 013656 | 2,5 |
| 013674 | 1,0 |
| 013692 | 3,0 |
| 013701 | 2,0 |
| 013724 | 4,0 |
| 013752 | 2,5 |
| 013767 | 3,5 |
| 013771 | 3,0 |
| 013785 | 3,0 |
| 013806 | 1,0 |
| 013832 | 3,0 |
| 013843 | 2,5 |
| 013856 | 2,0 |
| 013857 | 1,5 |
| 013860 | 2,0 |
| 013897 | 4,5 |
| 013917 | 9,0 |
| 013933 | 20,0 |
| 013935 | 1,0 |
| 013943 | 2,5 |
| 013995 | 3,0 |
| 014004 | 1,0 |
| 014013 | 2,0 |
| 014019 | 1,0 |
| 014026 | 1,5 |
| 014040 | 2,0 |
| 014076 | 6,0 |
| 014082 | 2,0 |
| 014083 | 2,0 |
| 014090 | 2,0 |
| 014111 | 1,5 |
| 014122 | 4,5 |
| 014135 | 2,0 |
| 014235 | 1,0 |
| 014236 | 7,0 |
| 014254 | 4,0 |
| 014308 | 1,5 |
| 014320 | 4,0 |
| 014336 | 2,0 |
| 014343 | 2,5 |
| 014352 | 3,0 |
| 014388 | 2,5 |
| 014396 | 2,0 |
| 014406 | 2,0 |
| 014417 | 4,5 |
| 014422 | 7,0 |
| 014433 | 1,0 |
| 014434 | 4,0 |
| 014443 | 1,0 |
| 014447 | 2,0 |
| 014449 | 1,5 |
| 014475 | 2,0 |
| 014484 | 1,5 |
| 014485 | 2,0 |
| 014492 | 2,0 |
| 014505 | 4,5 |
| 014507 | 1,0 |
| 014517 | 2,0 |
| 014528 | 2,0 |
| 014532 | 2,5 |
| 014561 | 1,5 |
| 014567 | 8,0 |
| 014573 | 1,0 |
| 014574 | 4,5 |
| 014595 | 2,0 |
| 014622 | 4,5 |
| 014625 | 2,0 |
| 014634 | 2,0 |
| 014636 | 3,0 |
| 014646 | 1,0 |
| 014666 | 1,0 |
| 014680 | 2,5 |
| 014683 | 3,0 |
| 014702 | 3,0 |
| 014736 | 1,5 |
| 014755 | 3,5 |
| 014777 | 4,0 |
| 014803 | 4,5 |
| 014821 | 3,5 |
| 014827 | 1,5 |
| 014846 | 4,0 |
| 014853 | 2,0 |
| 014934 | 2,0 |
| 014997 | 2,0 |
| 014999 | 1,0 |
| 015009 | 4,5 |
| 015016 | 1,5 |
| 015023 | 4,5 |
| 015024 | 1,5 |
| 015037 | 5,0 |
| 015057 | 1,5 |
| 015062 | 4,0 |
| 015070 | 5,0 |
| 015116 | 2,0 |
| 015117 | 2,0 |
| 015135 | 2,0 |
| 015150 | 2,0 |
| 015233 | 1,5 |
| 015237 | 1,5 |
| 015239 | 7,0 |

